პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი № 278 (11889) | ხუთშაბათი, 1 დეკემბერი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

ნ. ს. ხრუშჩოვი შეხვდა ვ. ულბრიხტს

30 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ვ. ულბრიხტს.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარში მონაწილეობა მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილეებმა ა. ნ. კოსიგინმა და ა. ი. მიქოიანმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სსრ კავშირის ელჩმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მ. გ. პერვუხინმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მე-3 ევროპის განყოფილების გამგემ ი. ი. ილიჩოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელმა თანამშრომელმა ი. ფ. რიქკოვმა.

გერმანიის მხრივ საუბარში მონაწილეობა მიიღეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა გ. მატერნმა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა გ. რაუმ და ბ. ლაიხნერმა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებმა გ. აქსენმა და პ. ფლორინმა.

საუბრის დროს შეეხნენ პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებს, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს, მათ შორის განიხილეს კონკრეტული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია იმასთან, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება დაარღვიოს შეთანხმება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ვაჭრობის შესახებ. მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მხრივ არ გაგრძელდება შეთანხმება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ვაჭრობის შესახებ, საბჭოთა კავშირი 1961 წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას მიაწვდის საჭირო ნედლეულსა და საქონელს.

საუბარმა მეგობრულ, გულწრფელ გითარებაში ჩაიარა.

კამგოჯის სახელმწიფოს მეთაური ნოროდომ სიანუკი მოსკოვში

მოსკოვი, 29 ნოემბერი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საბჭოთა მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში საუზმე გამართეს კამბოჯის სახელმწიფოს მეთაურის პრინც ნოროდომ სიანუკის პატივსაცემად.

საუზმის დროს, რომელმაც გულთბილობისა და გულახდილობის ვითარებაში ჩაიარა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და პრინცმა ნოროდომ სიანუკმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ნაშუადღევს კამბოჯის სახელმწიფოს მეთაური პრინცი ნოროდომ სიანუკი და მისი თანმხლები პირები იყვნენ მოსკოვის გ. ა. ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანაში, სადაც დაათვალიერეს საინსტრუმენტო საამქრო, აგრეთვე მთავარი საავტომობილო კონვეიერი. შემდეგ სტუმრები იყვნენ ქარხნის ერთ-ერთ საბავშვო ბაღში, აგრეთვე კულტურის სასახლეში. საწარმოს კოლექტივი გულთბილად შეხვდა საპატიო სტუმარს.

დღესვე პრინცმა ნოროდომ სიანუკმა დარბაზობა გამართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად.

ნოროდომ სიანუკმა და ლ. ი. ბრეჟნევმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. (საკდესი).

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვი, 30 ნოემბერი, (საკდესი). დღეს აქ საბჭოთა მთავრობის მოწვევით ჩამოვიდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი მარშალი აბდელ ჰაქიმ ამერი.

ვნუკოვის აეროდრომზე ჩამოსულთ შეხვდნენ ამხანაგები ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ნ. ორგანოვი და სხვები. აგრეთვე არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში მოჰამედ ა. ელ კუნი.

ა. ი. მიქოიანმა და ა. ჰ. ამერმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

უპატაკებენ სამშობლოს

ᲒᲣᲓᲐᲣᲠᲘ. (საკ. კორ.). ამ დღეებში განსაკუთრებით კარგად მუშაობს ტყეკარჩელის № 5 შახტის კოლექტივი. შვიდწლედის მეორე წლის დავალებათა ვადაზე ადრე განადღებისათვის ბრძოლაში და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მეშახტეებმა ახალი შრომითი წარმატება მოიპოვეს. მოწინავე შახტის კოლექტივმა სამშობლოს უპატაკა ქვანახშირის ოპოვების 11 თვის დავალების ვადაზე ადრე განადღება. გეგმის ზევით ამოღებულია 13.220 ტონა სპობობი.

შახტის კოლექტივმა ამ ხნის განმავლობაში დაზოგა და შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანა 740 ათასი მანეთი.

მეხუთე შახტის კოლექტივმა აწონდაწონა თავისი შესაძლებლობანი და ვალდებულება იკისრა წლიური გეგმა 16 დეკემბრისათვის გაანადღოს, სამშობლოს მისცეს 14 ათასი ტონა ზეგეგმითი ქვანახშირი.

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. (საკ. კორ.). მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადეების შრომითი საქმიანობის შესახებ სისტემატურად მოდის ხასიხარული ცნობები. გადაიყვანეს რა ყველა ღუმელი ბუნებრივ გაზზე, ფოლადის დნობის ოსტატები სულ უფრო ზრდიან პროდუქციის გამოშვებას, აუმჯობესებენ წარმოების ეკონომიურ მაჩვენებლებს.

გ. ბერეკაშვილის, გ. სიგუას, ი. ტაბატაძისა და სხვების ბრიგადებმა ნოემბრის გეგმა ერთი დღით ადრე გაანადღეს. 50-ზე მეტი ჩქაროსნული დნობა განაბორციელეს და სამშობლოს რამდენიმე ათასი ტონა ზეგეგმითი ფოლადი მისცეს.

ᲗᲔᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). სახახელო მაჩვენებლებით ხვდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორმოცე წლისთავს ქარხანა „ელექტროკარის“ კოლექტივი. ქარხანამ ორი კვირით ადრე შეასრულა თერმიტი თვის გეგმა და გეგმის გადამეტებით უკვე გამოუშვა ათობით ელექტროკარი.

— 200 ათასი მანეთი შვიდწლედის ფონდში — ასეთი იყო ქარხნის კოლექტივის გადაწყვეტილება. ეს პირობა ერთი თვის წინ დიდი გადაჭარბებით შეასრულეს და რესპუბლიკურ ფონდში 300 ათასამდე მანეთი შეიტანეს.

ქარხნის კოლექტივი ჩაება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის ალსანიშნავ შეჯიბრებაში და გადაწყვიტა საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შეასრულოს 25 დეკემბრამდე. ხოლო 1961 წლის ორი თვის დავალება — 26 თებერვლისათვის.

ᲒᲣᲓᲐᲣᲗᲘᲡ რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის მანდარინის მოყიდვის გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 427 ტონის ნაცვლად გაყიდულია 524 ტონა.

სახელმწიფოსათვის მანდარინის მოყიდვა გრძელდება.

ᲠᲐᲭᲘᲡᲗᲣᲗᲘᲡ რაიონის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ციტრუსების მოყიდვის გეგმა. 25 ნოემბრისათვის მანდარინის მოყიდვის გეგმა შესრულებულია 120 პროცენტით, ლიმონის — 160 პროცენტით.

ᲒᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ რაიონის მშრომელებმა 27 ნოემბერს შეასრულეს სახელმწიფოსთვის თესლოვანი ხილის მოყიდვის ვალდებულება.

ხილის გაყიდვა გრძელდება. (საკდესი).

მეცნიერთა პაგუოშის კონფერენცია

მოსკოვი, 28 ნოემბერი. (საკდესი). დღეს აქ მუშაობას განაგრძობდა მეცნიერთა მეექვსე საერთაშორისო პაგუოშის კონფერენცია.

დღის სხდომამ მოისმინა მოხსენებანი თემაზე „გამალებული შეიარაღებისა და განიარაღების შესახებ მოლაპარაკების ისტორია“, რომლებიც გაკეთეს ფილიპ ნოელ ბეიკერმა (ინგლისი) და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. მ. ხვოსტოვმა.

გამალებული შეიარაღების საფრთხის პრობლემა განიხილა დღის სხდომამ. ამ თემაზე მოხსენებანი გააკეთეს საბჭოთა მეცნიერმა აკადემიკოსმა ი. კ. ტამმა და პროფესორმა პარსონ ბრაუნმა (ამერიკის შეერთებული შტატები).

აკადემიკოსმა ე. კ. ფიოდოროვმა (სსრ კავშირი) გააკეთა მოხსენება „თანამედროვე მდგომარეობა მოლაპარაკებისა ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ“.

სხდომებზე გაჩაღდა დისკუსია აღძრული საკითხების შესახებ.

მოსკოვი, 29 ნოემბერი. (საკდესი). დღეს გაიმართა მეცნიერთა VI საერთაშორისო პაგუოშის კონფერენციის მორიგი სხდომა. მოსმენილ და განხილულ იქნა ორი მოხსენება: პროფესორ დ. ვიზნერისა (ამერიკის შეერთებული შტატები) — „შეიარაღების შეზღუდვის საერთო სისტემები“, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. ა. არზუმანიანისა — „საყოველთაო და სრული განიარაღების გეგმები“.

შემდეგ გაიმართა დისკუსია.

უკვდავებისა და სამარადისო დიდების ცეცხლი

ერევანი, 29 ნოემბერი (საკდესი). ზეიმურად, თითქოს სალამოთ ყარაულიაო, ჩამწკრივებულან ხელები ქალაქის ცენტრალურ ხეივანში. დღეს აქ შრომითი დღის შემდეგ ათასობით ერევნელი შეიკრიბა. დიდი ლენინისა და მისი ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის ს. გ. შაუმიანის ძეგლებს შორის წარმოიშვა 1920 წლის გმირთა სამარადისო დიდების მონუმენტი.

სომეხი ხალხის საუკუნეობრივი ოცნების განხორციელებისათვის ბრძოლაში ამ ქვეყნის ბევრმა საუკეთესო ვაჟმა და ქალიშვილმა, აგრეთვე გმირი XI არმიის მებრძოლმა გისწირა თავი, არმიისა, რომელიც ლენინის მითითებით სომხეთის აჯანყებულ მშრომელთა დასახმარებლად მოვიდა.

...სამ მასიურ გრანიტის საფეხურს ამაყავართ ძეგლის სამირკვლეთან, სადაც დგას ბრინჯაოს ფიალა. მასზე აღმართულან ზვავით თანდათან გაფართოებული ოთხწახნაგა სვეტები. მონუმენტი ზვავით მთავრდება ბრინჯაოს კვირგვინით, რომელზეც ამოკვეთილია სიტყვები: „სამარადისო დიდება საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის მებრძოლთ.

მონუმენტის საერთო სიმაღლე, რომელიც აგებულია პამბაკის გაპრიალებული გრანიტისაგან, 3,5 მეტრს აღემატება.

დღეს საზეიმო ვითარებაში ანთებულ იქნა „სამარადისო ცეცხლი“. საბჭოთა ქალშირის სახელმწიფო ჰიმნის ჰანგებში ძეგლის ფიალაში ანთო უკვდავებისა და სამარადისო დიდების ჩაუქრობელი ცეცხლი.

ჟურნალისტთა კავშირის სამდივნოში

მოსკოვი, 29 ნოემბერი. (საკდესი). დღეს გაიმართა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სამდივნოს სხდომა. სხდომაზე განიხილეს ჟურნალისტთა მეორე მსოფლიო შეხვედრის შედეგები და მისი გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე პრაქტიკული ღონისძიებანი. სხდომაზე ილაპარაკეს სრულიად რუსეთის პირველი მარქსისტული არალეგალური გაზეთის „ისკრის“ გამოსვლის სამოცი წლისთავის მომავალი ღონისძიების შესახებ.

ალიაქოთი მეამბოხეთა ბანაკში

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ, 29 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ტანიუგის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, პრემიერ-მინისტრ პატრის ლუმუმბას გამგზავრებამ ლეოპოლდვილიდან ალიაქოთი გამოიწვია მეამბოხეთა ბანაკში.

პუტჩისტთა მეთაურის პოლკოვნიკ მობუტუს განკარგულებით ყველა ახლო მდებარე პუნქტში, სადაც მეამბოხეებს ხელი მიუწვდებათ, დაიგზავნა დეპეშები, რომლებიც შეიცავდა ბრძანებას ლუმუმბას შეპყრობის შესახებ. თვით ლეოპოლდვილში მობუტუს ჯარისკაცებმა ლუმუმბას ძებნის სანაბიად გადაქიქეს აფრიკელთა მთელი უბანი. გამოიყენეს თვითნებური ჩხრეკა და დაპატრეტვა. მაგრამ ამ ღონისძიებებმა არავითარი შედეგი არ მოიტანეს.

ᲠᲐᲠᲘᲖᲘ, 29 ნოემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი, იმოწმებს რა კარგად ინფორმირებულ წყაროებს, იუწყება, რომ ლუმუმბა ლეოპოლდვილიდან გაემგზავრა კვიკიტისაკენ (400 კილომეტრზე დედაქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით), სადაც ხელისუფლება ეკუთვნის აფრიკის სოლიდარობის პარტიას, რომელიც მხარს უჭერს კანონიერ მთავრობას, და საიდანაც მას გაუადვილდება სტენლივილში ჩასვლა.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 29 ნოემბერი. (საკდესი). რეიტერის საგენტოს ცნობით, პრემიერ-მინისტრ ლუმუმბას გამგზავრების შემდეგ მისი მთავრობის სხვა მინისტრებმა და ბევრმა მომხრემ დატოვეს დედაქალაქი და სხვადასხვა გზით გაემგზავრნენ სტენლივილში. იუწყებიან, რომ სტენლივილში პრემიერ-მინისტრად, ალბათ, ალბერ კალონჯი დაინიშნა. ადგილობრივ მოსახლეობას ეგონა, ალბერ კალონჯი ლუმუმბას ხელმძღვანელობით მზადდება ლუმუმბას საზეიმო შეხვედრა.

დღის წესრიგშია სამხედრო საკითხები

პარიზი, 30 ნოემბერი (საკდესი). გუშინ აქ გაიხსნა სესია დასავლეთ ევროპის კავშირის ასამბლეისა — ამ სამხედრო ბლოკის საპარლამენტო ორგანოსი, რომელშიც შედიან „საერთო ბაზრის“ ექვსი ქვეყანა (საფრანგეთი, დასავლეთ გერმანია, იტალია, ჰოლანდია, ბელგია, ლუქსემბურგი და ინგლისი).

სესიის დღის წესრიგშია სამხედრო საკითხები. კერძოდ, მოსალოდნელია, საფრანგეთის სამხედრო მინისტრის მესერიესა და ევროპაში ნატოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის გენერალ ნორსტადელის გამოსვლები. ეს უკანასკნელი, როგორც გაზეთების მომომხილველები ფიქრობენ, გააკეთებს მოხსენებას თავის იმ გეგმის შესახებ, რომ ატომური იარაღი გადაიცეთ ნატოს მესვეურებს, რაც შესაძლებელს გახდის შეინიშნოს დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერის ატომური შეიარაღება.

ასეთი სესიების მიზანი ჩვეულებრივის არის, რომ გაავრცელოს ანტისაბჭოთა პროპაგანდა, რომელიც ამართლებს გამალებულ შეიარაღებას დასავლეთში. და დღეს, როცა სესია გახსნა, ასამბლეის თავმჯდომარემ ბალინი-კონფალონიერმა მოითხოვა დასავლეთის „გაერთიანება“, რათა დაუპირისპირდეს „კომუნიზმის შემოტევას“. მან აგრეთვე მოუწოდა ასამბლეის მონაწილეებს გადალახონ ყველა „სიძნელე“, რათა ინგლისი ეზიაროს „ევროპას“ ყველა ორგანიზაციას. მას მხედველობაში ჰქონდა მწვავე ეკონომიური წინააღმდეგობანი დასავლეთ ევროპაში არსებულ ორ ეკონომიურ დაჯგუფებას („საერთო ბაზარი“ და „შვიდეული“ ინგლისის მეთაურობით) შორის.

ჩვენი რესპუბლიკის დღე

ᲛᲔᲗᲔᲕᲖᲔᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ დღეებში შავი ზღვა უფრო მუქი და მრისხანეა, ვიდრე ზაფხულში. მაგრამ ეს ვერ აშინებს ზღვის სტიქიასთან ბრძოლას შეჩვეულ ბათუმელ მეთევზეებს.

— თევზჭერის გეგმებს ყოველთვის გადამეტებით ვასრულებთ და არც წელს შეგვირცხვენია თავი, — ამბობს კომბინატის დირექტორი შ. ოსეფელიანი. — წლიური გეგმა უკვე გადაჭარბებით შესრულდა. 24.900 ცენტნერის ნაცვლად დავიჭირეთ, გადავამუშავეთ და დანაშნულებისამებრ გავგზავნეთ 25.215 ცენტნერი თევზი.

ასეთი უხვი „მოსავალი“ იშვიათად ახსოვთ მეთევზეებს. ნავსადგურისაკენ დღისით და დამით განუწყვეტლივ მოდინებოდნენ პირთამდე თევზით ავსებული სეინერები. მთელი კოლექტივის მზანი იყო მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია მიეწოდებინა ჩვენი ქვეყნის მშრომელებისათვის.

მეთევზეთა ცალკეული ბრიგადების მიღწევებზე გვიყვება ინჟინერი ნ. ლორთქიფანიძე, უკვე ყველა ბრიგადამ შეასრულა წლიური გეგმა და ახლა 1961 წლის ანგარიშში მუშაობენ.

კარგი წარმატებები აქვთ მ. დიმიტრიევს, შ. მეგრელიძის, კ. შენგელიას ბრიგადებს, მაგრამ ყველაზე წინ მარნეა გ. უკლებას ბრიგადაა. წელს მისმა ბრიგადამ 5.570 ცენტნერი თევზი დაიჭირა ნაცვლად 2.767 ცენტნერისა.

ქების ღირსია აგრეთვე ქობულეთელ მეთევზეთა კოლმეურნეობა „გამარჯვების“ კოლექტივი, რომელმაც დიდი გადაჭარბებით შეასრულა რაგორც წლიური დავალება, ასევე ნაკისრი ვალდებულებაც: დაიჭირა და სახელმწიფოს მიჰყიდა გეგმით გათვალისწინებულზე 2 ათასი ცენტნერით მეტი თევზი.

— სამშობლოს მივიტანთ უხვ და მაღალხარისხოვან თევზის პროდუქციას, ახალი წარმატებებით შევხვდებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმს! — ერთსულოვნად აცხადებენ ბათუმელი და ქობულეთელი მეთევზეები.

რ. ᲒᲝᲠᲒᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მწვანე საამქროში

— დირექტორი ტერიტორიაზეა, საგეგმო განყოფილების უფროსიც მასთან არის, — გვითხრეს სამმართველოში.

მივდივართ ქარხნის ტერიტორიაზე. ქარხანა ფართოვდება. მიმდინარეობს მისი რეკონსტრუქცია. შევდივართ ფართო საამქროში, რომლის მშენებლობა ამ ცოტა ხნის წინათ დამთავრებულა. საამქროს ტერიტორიაზე ლაბორატორიას მოგვაგონებს: აქ ყველაფერი სისუფთავით ბრწყინავს, გარშემო ყვავილებია, ვერც კი გრძნობ, რომ ქარხანაში იმყოფები. კოშკია რიგებად ჩამწკრივებულია ჩარხები. ეს ნაკადური ხაზებია, ისინი კი საამქროში ხუთია. მართალია, საამქროში ჯერ კიდევ არის თავისუფალი „ლაქები“, მაგრამ მათ თანდათანობით ავსებენ ახალი ჩარხებით.

საამქროს კუთხეში, სადაც ახალი მოწყობილობის მონტაჟი მიმდინარეობს, თავი მოუყრია ადამიანთა ჯგუფს. აქ არიან მემონტაჟეები და ელექტროკოსები, ინჟინრები და ბრიგადირები. ფანჯარასთან დგას ქარხნის დირექტორი კონსტანტინე ალანია და ნახაზს დაჰყურებს.

— გვინდა ვუამბოთ ჩვენს მკითხველებს, თუ რა გაქვთ ახალი საწარმოში და რა გაკეთდება უახლოეს დროში.

და აი ვესაუბრებით დირექტორს.

— საამქროში ყველაფერი უჩვეულოა: ჩარხებიც რაღაც განსაკუთრებული კუთხით არის დადგმული, ისინი ღია მწვანე ფერისაა, ხოლო მოძრავი ნაწილი — ყვითელია.

— ჩარხებ[illegible]ით შეფერილობას ვერსად ვე[illegible]ავ[illegible]ით რესპუბლიკაში, — ამბობს [illegible]ორი. — ეს საინტერესო ინიციატ[illegible] მეწველობაში.

— გასულ წელს, — განაგრძობს იგი, — პრესაში გამომეყენა ცნობა, რომ მოსკოვის ინსტიტუტმა „ორგსტანკინპრომმა“ შეიმუშავა წარმოების კულტურის პროექტი. გამოირკვა, რომ ჩარხის ყველაზე შესაფერი შეფერილობაა ღია მწვანე ფერი. რომელიც ყველაზე უკეთ მოქმედებდა მუშის თვალზე, ზრდიდა შრომის ნაყოფიერებას. ჩვენ გადავწყვიტეთ ეს ინიციატივა ჩვენს ქარხანაში გამოგვეყენებინა. ხედავთ, რა გამოვიდა — საამქრო თითქოს უფრო განათდა, მუშაობაც უფრო მოხერხებული შეიქნა და მუშები ახლა უკეთ ვლიან, მუდამ წმენდენ მოწყობილობას.

გვერდით ხაზებზე დადგმულია ახალი უნივერსალური, აგრეთვე სპეციალური ჩარხები. ორი თვის წინათ დაინერგა წარმოებაში დეტალების დამუშავება ალმასით გამოსახარატებელ ჩარხზე. ამას წინათ ქარხანაში მოეწყო ცდები დეტალების წრთობისა მაღალი სიხშირის დენებით, ხოლო მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა თერმული უბანი, სადაც დაიდგმება დეტალების საწრთობი ღუმელები.

საამქროში ყველაფერი მექანიზებულია, ჩარხები მთლიანად ავტომატიზებულია. მუშა წინათ ბევრ დროს ხარჯავდა ჩამოსხმული დეტალის დადგმაზე დასამუშავებლად. ახლა მის განკარგულებაშია მძლავრი ამწეები, ჩარხების მართვაც გამარტივებულია — გარშემო მოწყობილია ღილაკიანი გადამრთველები.

თბილისის სახეხი ჩარხების ქარხანა დიდი სიზუსტის ჩარხებს იძლევა. ამჟამად საწარმოს კოლექტიკი უშვებს „3110-3“ მოდელის მრგვლად სახეხ ჩარხებს. მაგრამ ტექნიკა წინ მიდის და ჩვენს მრეწველობას განსაკუთრებული სიზუსტის ჩარხები ესაჭიროება.

ამასთან დაკავშირებით ლენინგრადის საკონსტრუქტორო ბიურო შეუდგა დიდი სიზუსტის ორი ახალი მრგვლად სახეხი ჩარხის კონსტრუირებას. ამ ჩარხებს ჩვენი საწარმო 1961 წელს აითვისებს.

* * *

რიტმულად კაკუნობს ჩარხი, თითქოს რაღაც ტაქტს ითვლისო. ნაზი შავთვალა გოგონა მარჯვედ ხსნის ჩარხიდან დამუშავებულ კბილანას და დასამუშავებლად უკეთებს ახლს. მივდივართ მასთან, ვეცნობით. ეს მზია ძველაია.

— ორი წლის წინათ მექანიკურ საამქროში რომ შემოვედი, — გვიამბობს იგი, გარს შემომეხვევნენ მუშები, და არ დავმალავ, ბევრს ეეჭვებოდა, რომ შევძლებდი კბილანამჭრელის სპეციალობის ათვისებას. ჩემთვის ამ ხელობის სწავლება ოსტატმა ო. კაკულიამ იკისრა. გადიოდა დღეები და კვირეები, და სამი თვის სწავლის შემდეგ პირველად დავდექი ჩარხთან დამოუკიდებლად. პირველ ხანებში ბევრ სიძნელეს ვხვდებოდი, მაგრამ მალე შევეჩვიე და გავიგე „საიდუმლოებანი“, ცოტა ხნის შემდეგ მუშაობა დავიწყე მეორე ჩარხზე. აი ასე ვმუშაობ ორ ჩარხზე.

ამჟამად კომკავშირელი მზია ძველაია საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია. გაივლის სწავლისა და მუშაობის წლები, და მზია საწარმოში უკვე ინჟინერად მოვა. — მაშინ ხომ, — ამბობს იგი, — პასუხისმგებელი ვიქნები არა მარტო საკუთარი თავისათვის, არამედ ხელქვეითებისთვისაც, და აი ამ გამომავლგება საამქროში შეძენილი გამოცდილება.

...ზრდება ქარხანა, შენდება კორპუსები, იზრდებიან ამ საწარმოს ადამიანებიც. კადრის მუშებთან ერთად შრომობს ახალგაზრდობა, რომელიც ახალ პროფესიებს ეუფლება. იქვე მზიას ახლოს მუშაობენ მისი მეგობრები მღარავი ც. მაჭარაშვილი და მნინაკი ნ. გოგიჩაშვილი. რთულ ჩარხებს მართავენ ხარატები გ. ქინქლაძე და ნ. ჩერნოვი, მღარავი გ. ცხოვრებოვი. ქარხანაში ერთ-ერთ საუკეთესო ამწყობად ითვლება ა. თოდაძე.

ქარხანაში შექმნილია კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომლებსაც წარმოების გამოცდილი მუშაკები უ. გურგენიძე და ა. კაცუპენკო ხელმძღვანელობენ.

საწარმოში ჯერ კიდევ ბევრი სიძნელეა. ხშირად ვერ სრულდება სახეხი ჩარხების გამოშვების გეგმა, რთული ოპერაციებისათვის არ ყოფნით სპეციალისტები. ქარხნის მიმწოდებელი — თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა ჯერ კიდევ ყოველთვის არ იძლევა ხარისხოვან სხმულს.

...მაგრამ გავა დრო, მწყობრში ჩადგებიან ახალი საამქროები, დამონტაჟდება ახალი მოწყობილობა, სრული სიმძლავრით ამუშავდება ნაკადური ხაზები, ქარხანა დაიწყებს რიტმულ მუშაობას, და ნაკადად წამოვა ახალი მარკების სახეხი ჩარხები.

ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: (ზეკით) მღარავი ს. ქიტიაშვილი (მარცხნივ), და მრანდავი ნ. არჩვაძე. (ქვევით) მექანიკურ-საამწყობო საამქროს მოწინავე მუშა მზია ძველაია.

ფოტო ავტორისა.

ᲛᲔᲥᲚᲔᲒᲣᲚᲝᲒᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝ

ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ. (საკ. კორ.). ნაგვაზაოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ჰატვეულცემთა სარგებლობს მეფუტკრეობა. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ კოლმეურნეობას 4 თუ 5 ოჯახი ფუტკარი ჰყავდა, წელს კი უკვე 150 ოჯახი ჰყავთ.

შარშან და წელს ფუტკრისათვის არაჩვეულებრივ ამინდები იდგა. ამიტომ რესპუბლიკის მეფუტკრეობის რაიონებში თაფლის მოსავალი ნაკლები იყო, ოჯახზე 8-10 კილოგრამი. ნაგვაზაოელმა მეფუტკრეებმა კი (მთავარი მეფუტკრე კ. თოფურია) წელს 150-დან თვითეულ სკაზე 26 კილოგრამი სასაქონლო თაფლი მიიღეს.

ახლა ნაგვაზაოელი მეფუტკრეები იბრძვიან ფუტკრის ოჯახების სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის.

თამბაქოს უხვი მოსავალი

ᲛᲐᲦᲚᲘ შრომითი მაჩვენებლებით ხვდებიან ზეიმებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს ბალის რაიონის სოფელ საბერიოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქეები. აქ წელს კარგად მოუარეს თამბაქოს პლანტაციებს და შედეგიც კარგი აქვთ. უკვე ინმსალია 600.000 ზონარმეტრზე მეტი თამბაქო.

კულტურის სახლი უნერაში

ᲝᲜᲘ. (საკ. კორ.). უწერა ერთ-ერთი დიდი და საკულტურო სოფელია რაიონში. აქაურმა მშრომელებმა ამ დღეებში შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს. საექსპლოატაციოდ გადაეცა კეთილმოწყობილი კულტურის სახლი, რომლის მაყურებელთა დარბაზი 300 კაცს იტევს.

დიდი წარმატება აქვს მოპოვებული ბრიგადას, რომელსაც კ. ახალაია ხელმძღვანელობს. ბრიგადაში ინერგსილია 65.500 ზონარმეტრზე მეტი თამბაქო. ამ ბრიგადამ სახელმწიფოს უკვე ჩაბარა 4.5 ტონა თამბაქო. წლიური გეგმა კი 3,5 ტონას ითვალისწინებდა.

თამბაქოს უხვი მოსავლის მიღებაში სასახელო მაჩვენებლები აქვს მეთხუთმეტე ბრიგადის წევრს ლ. მატკავას. მან დიდასამშობლოს მისცა 830 კილოგრამი აროматული თამბაქოს ნედლეული ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 500 კილოგრამისა. მისი ახალი ვალდებულებაა დამატებით მისცეს სამშობლოს 400 კილოგრამი თამბაქოს ნედლეული.

ბალელი მეთამბაქეები პირობას დებენ, რომ სახელმწიფოსათვის თამბაქოს მიყიდვის წლიური გეგმის შესრულებას მთლიანად უზრუნველყოფენ 13 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცემენ 6 ტონა ნედლეულს.

Ი. ᲪᲘᲙᲝᲚᲘᲐ.

ᲨᲔᲜᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲚᲐᲛᲐᲖᲓᲔᲑᲐ

ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). რაიონის ცენტრში შესვლისთანავე ყურადღებას იქცევს ახლახან აგებული ორსართულიანი შენობა. ეს სკოლა-ინტერნატის საცხოვრებელი კორპუსია, რომელიც ახლო მომავალში 300 ბავშვს მიიღებს. ახალი მშენებლობებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ორი რვაბინიანი საცხოვრებელი სახლი, უნივერმაღი, რესტორანი და სხვ.

ახალი ობიექტების მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სოფლადაც. სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ დიდი ხანი არ არის, რაც ააგო საშუალო სკოლის შენობა, მძლავრი ელექტროსადგური, რომელიც ელექტროენერგიით ამარაგებს არა მარტო სტალინის სახელობის კოლმეურნეობას, არამედ მეზობელ — ორჯონიკიძის სახელობის, ნარიმანოვის სახელობის, ლენინის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებსაც.

ᲖᲕᲐᲠᲔᲡ ᲬᲧᲐᲚᲘ

ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔ. (საკ. კორ.). შორს გაიჭიმა სახელი მინერალურმა წყალმა „ზვარემ“. ჩამომსხმელი ქარხნის კოლექტივმა კარგა ხანია შეასრულა წლი

ასეთია რეზერვები და პერსპექტივები

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

კომუნისტები სიტყვას არ ღალატობენ

ბუნებას თითქოს აქ დაუბერტყავს თავისი მადლიანი კალთა... ახალციხის რაიონის გახსენებაზე თვალწინ წარმოგიდგება აღორძინებული საქართველოს ერთ-ერთი შესანიშნავი კუთხის — მესხეთის — მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობა, განუხრელად მზარდი მრეწველობა და მდიდარი წიაღი. როგორ იყენებენ რაიონის მშრომელები ამ სიკეთეს, რით უპასუხებენ პარტიის დიდ ზრუნვას, რას აკეთებენ შეიდწლედის დავალებათა შესრულებისათვის? — აი ის საკითხები, რომლებიც წითელ ზოლად გასდევდა XXIII რაიონული პარტიული კონფერენციის მუშაობას.

პარტიის რაიკომის პირველი მდივნის ამხ. ვ. ქერქაძის მოხსენების შემდეგ ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ დელეგატები. კომუნისტები სიამაყით ლაპარაკობდნენ საანგარიშო პერიოდში მომხდარ სასიხარულო ცვლილებებზე, მომავლის გეგმებზე.

საანგარიშო პერიოდი ახალციხელთა ცხოვრებაში აღინიშნა მთელი რიგი მიღწევებით. წელს რაიონმა ამინდის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად მიიღო ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის იმაზე გაცილებით მეტი მოსავალი, ვიდრე შვიდწლედის პირველ წელს. დიდი წარმატება მოიპოვეს მეცხოველეებმა, მათ ექვს თვეში შესრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა, რისთვისაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურეს.

რაიონის კოლმეურნეობებმა 1 ნოემბრისათვის გადაეჭრნენ გაანადღვეს მეცხოველეობის სულადობის გეგმები. ათ თვეში ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე აწარმოეს 34,8 ცენტნერი ხორცი, ანუ ორჯერ მეტი, ვიდრე შარშან, და 111 ცენტნერი რძე. ამავე პერიოდში საშუალოდ ერთი საფურაჟე ძროხის წველადობამ შეადგინა 1.200 კილოგრამი, რაც 86 კილოგრამით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს.

შორს გითქვა სახელი მესხურმა ხილმა. მებაღეობა რაიონის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი — სწორ გზაზეა და აღმავლობის გზით მიდის, ძალებს იკრებს და ვითარდება ახალი დარგი — მევენახეობა.

იმ საზოგადოებრივ მეურნეობებს შორის, რომლებმაც მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს, მომხსენებელმა პირველ რიგში დაასახელა დაბა ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა. მოხსენების დამთავრების შემდეგ დიდ დროს არ გაუვლია, რომ სიტყვა მოითხოვა ამ სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარემ ს. კაკაჩიშვილმა. იგი ლაპარაკობდა დინჯად, მომავლის დიდი რწმენით.

— ამბობენ, ციფრებს ენა აქვთო, — თქვა მან, — თუ ეს ასეა, აი ეს ციფრებიც, და თქვენ თვითონ განსაჯეთ. — წელს მთელი ნათესი ფართობის ყოველ ჰექტარზე მივიღეთ 22 ცენტნერი საშემოდგომო პური და 24 ცენტნერი საგაზაფხულო ხორბალი. 60 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე კი მოვიყვანეთ 33 ცენტნერი სიმინდი. კარტოფილის მოსავლიანობამ ჰექტარზე 214 ცენტნერი შეადგინა, ხოლო ბოსტნეულისამ — 200 ცენტნერი.

ზოგიერთს ეგონა, თავმჯდომარე თავის სიტყვას აქ დაამთავრებდა. მაგრამ ასე როდი მოხდა. დელეგატები მაშინ ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ საკოლმეურნეო წარმოების ამ ნიჭიერი ორგანიზატორის კარგ თვისებაში — არ დასჯერდეს მიღწეულს და იყურებოდეს მხოლოდ წინ, როგორ მან შემდეგი განაცხადა:

— საკოლმეურნეო წარმოების დარგში ჩვენს მიღწევებზე რომ ვლაპარაკობთ, ერთ წუთსაც არ შეგვიძლია შეეურიგდეთ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ გვაქვს მუშაობაში. არასაკმაოდ ვებრძვით პირუტყვის ბერწიანობის ლიკვიდაციისათვის, მაღალი წარმადობით ვერ ვიყენებთ მექანიზმებს, დღემდე ვერ მოვსპეთ ხეხილის მავნებლები და ავადმყოფობანი.

დასასრულ, ს. კაკაჩიშვილმა დელეგატებს მოუთხრო ვალელთა მუშაობის გამოცდილებაზე.

თავიანთი კოლექტივების სისხლსავსე ცხოვრებაზე ლაპარაკეს კონფერენციის ტრიბუნიდან დელეგატებმა: ე. არაბიანმა (მეფრინველეობის სარაიონთაშორისო ფერმის ზოოტექნიკოსი), ო. კორკოტიანმა (სოფელ წყალთბილას კოლმეურნეობის თავმჯდომარე), ზ. გოგოლაძემ (სოფელ ურავლის საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი), ე. ღონღაძემ (აწყურის კოლმეურნეობის ბრიგადირი).

— ახალი შრომითი მიღწევებით შეეგებდეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმს, — აი მათი გამოსვლის მთავარი აზრი.

კონფერენციაზე დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი სოფლის მეურნეობაში არსებულ ნაკლოვანებათა კრიტიკას. დელეგატები ლაპარაკობდნენ გამოუყენებელ რეზერვებზე, მიუთითებდნენ მათი ამოქმედების გზებზე, მოითხოვდნენ პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას, კომუნისტების, ყველა მშრომელის აქტივობის ამაღლებას.

რაიკომის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნული იყო ერთმანეთის მომდევნო თანაბარი პირობების მქონე მოწინავე და ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა მუშაობა.

ახალციხის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. მ. ბაღათურიამ თავის გამოსვლაში აღნიშნა: — ზოგიერთ კოლმეურნეობაში მოეწესრიგებელია შრომა, დაბალია დისციპლინა, ეს უარყოფით გავლენას ახდენს მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებაზე, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე. შრომის ანაზღაურების გადიდებაზე. წელს კოლმეურნეობებში შრომისუნარიან კოლმეურნეთა 15 პროცენტს არ გამოუმუშავებია შრომადღეების საავალდებულო მინიმუმი.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში დაბალი მოსავლიანობისა და მცირე პროდუქტიულობის მიზეზია აგროტექნიკის კომპლექსის განუხორციელებლობა. პარტიული ორგანიზაციები და კოლმეურნეობათა გამგეობები ღრმად არ სწავლობენ მეურნეობათა ეკონომიკას, არ ნერგავენ მოწინავეთა გამოცდილებას, სუსტად ხელმძღვანელობენ მასობრივ-პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას.

მოხსენებასა და ბევრი დელეგატის გამოსვლაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი რაიონის მრეწველობის მდგომარეობას და მომავლის პერსპექტივებს.

აღინიშნა, რომ რაიონის სამრეწველო საწარმოებმა მიმდინარე წლის ათ თვეში გამოუშვეს 9 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში. განსაკუთრებით კარგად იმუშავა ამ მხრივ ახალციხის თამბაქოირის ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც რაიონის სამრეწველო და სამშენებლო ორგანიზაციებს შორის გაწელილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა. ცუდი მაჩვენებლები როდი აქვთ საქართველოს დაატომიტის ახალციხის მაღაროს, ახალციხის ქვანახშირის მაღაროსა სამმართველოს № 1 შახტის კოლექტივს და სხვ. მაგრამ ეს არ ითქმის მთელ რიგ სამრეწველო და სამშენებლო ორგანიზაციებზე, რომლებიც ჩამორჩებიან სახელმწიფო გეგმების შესრულებაში.

კონფერენციას დიდი ადგილი ჰქონდა ახალციხის ქვანახშირის მაღაროთა სამმართველო, რომელმაც წელს სახელმწიფოს დააკლო 24 ათასზე მეტი ტონა ქვანახშირი. შრომისა და წარმოების დაბალი ორგანიზაცია, არარიტმული მუშაობა, იერიშობანა, სამუშაოს ხშირი გაცდენა, კადრების არასწორი შერჩევა— ეს ის მიზეზები, რომლებიც ხელს უშლის მეშახტეთა გმაართულ მუშაობას. მარტო ის ფაქტი, რომ ათი თვის მანძილზე შახტებში უმიზეზოდ გაცდენილია 3.400-ზე მეტი კაცდღე, კომენტარს არ საჭიროებს!

სახელმწიფო გეგმების შესრულებას თავი ვერ გაართვა საქალაქო საბჭოს აგგლომერაციი მეურნეობის კომბინატმა — ათი თვის გეგმა მხოლოდ 59,7 პროცენტით შეასრულა და სახელმწიფოს 4 მილიონზე მეტი მანეთის პროდუქცია დააკლო.

საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგე ამხ. ე. ჯაფარიძე.

კონფერენციამ საანგარიშო პერიოდში რაიკომის მიერ გაწეული მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო და მიიღო საბანაო დადგენილება.

• • •

შედგა ახლადარჩეული რაიკომის პლენუმი.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ვ. ქერქაძე, მეორე მდივნად — ამხ. ვ. ფირცხალაიშვილი, მდივნად — ამხ. ს. პეტროსიანი.

გ. ზუსკაკიშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ახალციხის რაიონის კოლმეურნეობებმა ათ თვეში ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე აწარმოეს 34,8 ცენტნერი ხორცი, ანუ 2-ჯერ მეტი, ვიდრე შარშან.

მომავალზე ფიქრით

შესანიშნავი ტრადიცია დამკვიდრდა ჩვენი რესპუბლიკის ბევრ რაიონში. პარტიული კონფერენციის მუშაობის დღეებში ბევრგან გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია ბევრი თანამედროვე შრომით წარმოებული პროდუქციის ნიმუშები, სანტერესო ექსპონატები.

გული სიხარულით ივსებოდა, როცა გვიანი შემოდგომის მზიან დღეს კულტურის სახლის ნათელ დარბაზებში ვათვალიერებდით რესპუბლიკის ერთ-ერთ მაღალმთიანი რაიონის — თიანეთის რაიონის მშრომელთა მიღწევების გამოფენას. აქ წარმოდგენილი ექსპონატები მოწმობენ, თუ რა მდიდარი შესაძლებლობები აქვს რაიონს საკოლმეურნეო წარმოების, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის.

დელეგატები, რომლებიც მაღალმთიანი სოფლებიდან ჩამოვიდნენ, დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ ლამაზად გაფორმებულ სტენდებსა და ექსპონატებს. მართლაც ვის არ გაახარებს ის ფაქტი, რომ თიანეთელმა მშრომელებმა შვიდწლედის მეორე წელს მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს მეურნეობის ყველა დარგში. სწორედ ამ წარმატებებზე და მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე იყო საქმიანი ლაპარაკი პარტიის თიანეთის რაიონულ კონფერენციაზე.

— ჩვენი რაიონის მშრომელებმა, — თქვა საანგარიშო მოხსენებაში პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. გონჯილაშვილმა, — რომლებიც სიხარულით ეგებებიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს ღირსეულად შეხვედრისათვის, დიდი გადაჭარბებით და ვადაზე ადრე შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმიური დავალები. მაგალითად, ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა შესრულდა 174 პროცენტით, რძისა —107 პროცენტით, მატყლისა — 117,7, ხოლო კვერცხისა — 116,1 პროცენტით.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს პირნათლად ასრულებენ სოფელ ბალებისხევის კოლმეურნეობის მეცხოველეები, რომლებმაც მიმდინარე წლის ათ თვეში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღეს 1.326 კილოგრამი რძე, გაცილებით მეტი, ვიდრე შარშან. კოლმეურნეობა, რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობს პარტიის რაიონული კომიტეტის წევრი ვენერა სიხარულიძე, რამდენიმე წელია ინარჩუნებს პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალ წითელ დროშას.

რძის წარმოება მნიშვნელოვნად გაიზარდა ტუშურების, გუდანელების, თიანეთის, სვიმონიანთხევის, ზარძიეებისა და ჩეკურიაანთგორის კოლმეურნეობებშიც.

რაიონში გამოიზარდნენ მაღალი წველადობის ოსტატები, რომლებსაც უყვართ თავიანთი საქმე და წლითიწლობით ახალ წარმატებებს აღწევენ. ესენი არიან თ. წიკლაური და ს. წიკლაური ბალებისხევიდან, დ. კობაიძე საყდრიონიდან, ე. შუშანაშვილი თიანეთიდან, ო. ჩერქეზიშვილი არტნიდან, მ. ჭინჭარაული გუდანელებიდან და სხვები.

რაიონში ბევრია მოწინავე მწყემსი, მეღორე, მეფრინველე, სიმინდის მოყვანის ოსტატი. მათ შორის ცოტა როდია კომკავშირელი და კავშირგარეშე ახალგაზრდა, რომლებიც ფერმაში სამუშაოდ საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოვიდნენ.

როგორც მომხსენებელი, ისე დელეგატები კმაყოფილებით ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ ივრის ხეობაში თანდათანობით ვითარდება მეხილეობა, ფესვს იკიდებს ქართველი გლეხის საყვარელი კულტურა — ვაზი. საყდრიონისა და თიანეთის კოლმეურნეობებმა ვენახის საცდელი ნაკვეთებიდან წელს კარგი მოსავალი მიიღეს, ეს იმას ადასტურებს, რომ ადრეული ჯიშის ვაზის გაშენებისათვის აქ მშვენიერი პირობებია.

თიანეთელები ნაყოფიერად შრომობენ, რათა სრულად გაატარონ ის ღონისძიებანი, რომლებიც დასახულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1960 წლის 27 თებერვლის დადგენილებით „თიანეთის რაიონში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებებისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, ამ დადგენილების შემდეგ რაიონში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პარტიული პროპაგანდა, მასობრივ-პოლიტიკური საქმიანობა, ამაღლდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის დონე, უკანასკნელ წელს მოიწყო სატელევიზორო რესპუბლიკური სადგური, რაიონულ ცენტრში აშენდა 12-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, გაიხსნა ახალი რადიოკვანძი, მდინარე იორზე აშენდა ხიდი, მთავრდება აბანოს გადაკეთება და წყალსადენის გამოყვანა, შენდება პოლიკლინიკა.

სოფელ ზარიძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. ჭაფოძემ საყვედური გამოთქვა იმის გამო, რომ მთის კოლმეურნეობებს ყოველთვის როდი აქვთ საშუალება შეიძინონ სიმინდის კვდრატულ-ბუდობრივად სათესი მანქანები, მეცხოველეობის ფერმებისათვის საჭირო მექანიზმები, ჯერ კიდევ ცოტაა მთის რელიეფისათვის საჭირო მანქანები.

დელეგატები ი. კობერიძე, მ. ბიჩინაშვილი, დ. მაჩაიძე, ზ. კოკოზაშვილი, შ. ჭინჭარაული, ს. ასლანიკაშვილი, გ. კენკაშვილი ნ. ცალუღელაშვილი, თ. ფუნთუშიშვილი, ვ. ქისტაური და სხვები თავიანთ გამოსვლებში გულისტკივილით ლაპარაკობდნენ არსებულ ნაკლოვანებებზე და იმ დიდ რეზერვებზე, რომლებსაც ჯერ კიდევ სრულად ვერ იყენებენ რაიონში.

მათ განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი იმას, რომ აუცილებელია უახლოეს ხანში შესრულდეს პირუტყვის სულადობის გეგმა. მარტო მაგრანეთის კოლმეურნეობაში გეგმიან დაგალებებს დააღწევს ასზე მეტი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, თითსრასასზე მეტი ცხვარი.

რაიონში ინდაურის მოშენების შესანიშნავი პირობებია, მაგრამ კოლმეურნეობებში მეტისმეტად ნელა ვითარდება მეფრინველეობის ეს მაღალმემოსავლიანი დარგი.

უკანასკნელ წლებში პარტიამ და მთავრობამ დიდი დახმარება გაუწიეს ჩვენი რესპუბლიკის მთიანი რაიონების კოლმეურნეობებს, ეს ნათლად ჩანს თიანეთის რაიონის მაგალითით, მაგრამ ამასთან ერთად კონფერენციის დელეგატებმა მოიყვანეს იმის ფაქტები, რომ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, კავშირგაბმულობის სამინისტროები და ზოგი რესპუბლიკური ორგანიზაცია ჯეროვნად არ სწავლობენ რაიონს, მშრომელთა მოთხოვნილებებს. ამის გამო სამკურნალო დაწესებულებებს ექომები აკლიათ, ზოგიერთი ობიექტის მშენებლობა ჭიანურდება.

თიანეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. მგელიაშვილმა კონფერენციის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა პირუტყვის მტაცეცა საკვები ბაზის შექმნის საკითხებზე.

— ჩვენ, — თქვა მან, — შეგვიძლია ვიყოლიოთ გაცილებით მეტი ცხვარი და ძროხა, ვიდრე ახლა გვყავს.

დელეგატებმა ყურადღებით მოისმინეს ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთი დიდი ნაგებობის — სიონის წყალსაცავის მშენებლობის უფროსის გ. მაევსკის გამოსვლა. მან ილაპარაკა ქართველი მშენებლების შრომით მამაცობა-

ზე. ... ინტერესოთ წყალსაცავის აგება დავამთავროთ ვადაზე ერთი წლით ადრე — 1962 წლისათვის, — თქვა გ. მაევსკიმ.

რაიონი მდიდარია ტყეებით, თიანეთის სატყეო მეურნეობის მუშაკები ბევრს შრომობენ ამ ძვირფასი ბუნებრივი სიმდიდრის დასაცავად და გასამრავლებლად, ინარჩუნებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას, მთელ საქართველოში გაითქვა სახელი ტყის მცველმა ილია შავერდაშვილმა, რომელმაც ადგილობრივ ტყეებში დაამყარა და გაახარა 3 ათასზე მეტი გარეული მცენარე.

სატყეო მეურნეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე ილაპარაკა დელეგატმა გ. გიორგაძემ.

მოკამათეებმა ბევრი საგულისხმო თქვეს საკოლმეურნეო სოფლების კეთილმოწყობაზე, იმაზე, რომ ზოგიერთი სასოფლო კლუბი და სამკითხველო სუსტად მუშაობს, ბევრი ახალგაზრდა ჩაბმული არ არის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში.

ეს ნაკლოვანებანი გამოწვეულია ზოგიერთი საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის სუსტი მუშაობით. ბევრი ნაკლია იდეოლოგიურ მუშაობაში. მთის ზოგ სოფელში იშვიათად იმართება ლექციო-მოხსენებები, არ უჩვენებენ კოლოფლელებს, სუსტია პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობა, მისი კავშირი მასებთან.

საგულისხმოა, რომ თვითეული დელეგატის გამოსვლაში ჩანდა ჩვენი ადამიანების მისწრაფება წარმატებით გაანადღვნონ დიდებული შვიდწლედის დასახული ამოცანები, მკვეთრად გაზარდონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და შეამცირონ ფეოდალური ნარჩენები, სრულად გამოიყენონ მშობლიური მთების სიმდიდრე, მისცენ სამშობლოს მეტი ხორცი, რძე, ენერგია, კარაქი.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ჯიბლაძემ.

კონფერენციამ რაიკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო.

• • •

შედგა ახლადარჩეული რაიკომის პლენუმი, რომელმაც პარტიის თიანეთის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. მარიამ გონჯილაშვილი, მეორე მდივნად — ამხ. დ. ლომჯარია, მდივნად — ამხ. კ. გოგიაშვილი.

ა. თომაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სხვადასხვა შედეგი ერთნაირ პირობებში

— **რატომ** არის ერთსა და იმავე მიწაზე ესოდენ სხვადასხვა შედეგი? — ამ აზრის დარბაზში მყოფთ თითქმის ყველას გაგვეელვა თავში, როცა კონფერენციის ტრიბუნიდან გაისმა მომხსენებლის სიტყვები მოწინავე და ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა მუშაობაზე.

გაგვახსენდა ისიც, რომ ეაეთი კითხვა არაერთხელ წამოჭრილა რაიკომის პლენუმსა თუ სპეციალურად მოწვეულ თათბირზე, მაგრამ ყოველთვის რაღაც მიზეზით „გაუმართლებიათ თავი“. ჩამორჩენილთა შორის დასახელებენენ ხოლმე სოფელ ხოლეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობას, მაგრამ ეს დიდად არავის აუხსნიდა. თითქოს შეგეებული იყვნენ იმაკ, რომ ეს სასოფლო-სამეურნეო არტელი ჩამორჩენილი უნდა ყოფილიყო. წუალი არა გვაქვს და ურწყავ ფართობზე რა მოსავალს მოვიყვანთო,—კოლმეურნეობის მესვეურებს პირზე ეკერათ ეს სიტყვები. ბოლოს ისე წავიდა საქმე, რომ ამ კოლმეურნეობას აღარც ჩამორჩენილთა შორის იხსენიებდნენ, მაგრამ ამჯერადაც მისი თავმჯდომარე კარგად გრძნობდა თავს.

...მობილური კოლმეურნეობის ჩამორჩენას კი ბევრჯერ დაუფიქრებია სოფლის საშუალო სკოლის დირექტორი სერგო მიქუტაშვილი.

— განა არსებობს ცუდი კოლმეურნეობა? — ასეთი კითხვა ხშირად დაუსვამს სერგოს თავისათვის და უპასუხნია:

— არა, არ არსებობს ცუდი კოლმეურნეობა, არიან ცუდი ხელძღვანელები.

და რაც დრო გადიოდა, ამ ეეემარტებაში დარწმუნებულ სერგო მიქუტაშვილს უფრო აშკარად შეეძლო გამოეთქვა თავისი გულისნადები: თუ თანასოფლელებიც თანახმა იქნებოდნენ, წავიდოდა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

მას შემდეგ ერთი წელი გავიდა. სოფელ ხოლეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პირველ წარმატებებზე ასე დამაჯერებლად ჯერ არ ყოფილა ლაპარაკი, როგორც ითქვა კასპის რაიონის მოორგ პარტიულ კონფერენციის ტრიბუნიდან.

ტრიბუნაზეა საშუალო ტანის, შავგვრემანი კაცი. ეს სოფელ ხოლეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სერგო მიქუტაშვილია. თითქოს დაუჯერებელს ამბობს: ურწყავ ფართობზე საშუალოდ ჰექტარზე 28 ცენტნერი სიმინდი მოვიყვანეთ მარცვლად. კარგი იყო ხორბლის მოსავალიც — ჰექტარზე 12,1 ცენტნერი. თავი არც მეკვეხეეებს შეეურცხვენიათ, გეგმას მნიშვნელოვნად გადავაჭარბეთ. წელს მარტო მეკვეხეობიდან კოლმეურნეობამ ნახევარი მილიონი მანეთი მიიღო.

მეცხოველეობაშიც ეძლევთ ჩამორჩენას. გასულ ათ თვეში საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებული 955 ლიტრი რძე.

ისმენ თავმჯდომარის ამ სიტყვებს და უნებურად გაგონდება ქართული ნათქვამი: თუ კაცი გონიერია, სოფელი ღონიერაია.

— რაზეა დამოკიდებული, რომ ერთსა და იმავე მიწაზე სხვადასხვა შედეგია? — ამბობს მომხსენებელი, პარტიის კასპის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. დ. მაღალაშვილი. — ეს დამოკიდებულია კადრებზე, ორგანიზატორებზე. პარტიის რაიკომი შემდგომშიც არ შეანელებს ზურნვას კოლმეურნეობების უნარიანი, საქმის მცოდნე ადამიანებით განმტკიცებისათვის.

წლების მანძილზე ჩამორჩენილ ყარაღაჯის სვერდლოვის სახელობისა და სამთავისის კოლმეურნეობებში ახლა არ არის მეურნეობის ისეთი დარგი, რომელიც მნიშვნელოვან წინსულს არ განიცდიდეს. ყარაღაჯელმა კოლმეურნეებმა დიდი გადამეტებით შეასრულეს მარცვლეული, ბოსტნეული კულტურების, შაქრის ჭარხლის, ხილის მოსავლიანობის გეგმები, გაადიდეს მეცხოველეობის პროდუქტიულობაც.

მოყვანილ იქნა ასეთი მაგალითიც. სამთავისი და ლამისყანა მეზობლები არიან. აქ მუშაობის ერთნაირი პირობებია, მაგრამ ამ სოფლების კოლმეურნეობებს დიდად განსხვავებული შედეგები აქვთ. სამთავისის კოლმეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე 60 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა, მარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაადიდა სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ლამისყანის კოლმეურნეობაში კი საშუალოდ ჰექტარზე მხოლოდ 11,4 ცენტნერი სიმინდი მიიღეს, შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გეგმა ვერ შეასრულეს, დაბალია მეცხოველეობის პროდუქტიულობაც.

დარბაზში გაისმა ხმა: — მიზეზი?

სამთავისის კოლმეურნეობაში მაღალია მიწათმოქმედების კულტურა, ზრუნავენ მეცხოველეობაზე, ხოლო ლამისყანის კოლმეურნეობაში კი ცუდად უვლიან ნათესებს, პირუტყვს.

კონფერენციის დელეგატებმა საჭირო ყურადღება მიაქციეს სიმინდის მოსავლიანობის გადიდების გზებს, როგორც მარცვლეულის წარმოების გაზრდის დიდ რეზერვს. თქვა, რომ მარშანდელთან შედარებით წელს რაიონში სიმინდის ნათესი ფართობი 2.000 ჰექტარით გაიზარდა და 7.000 ჰექტარს შეადგენს. წინასწარი ცნობით საშუალოდ ჰექტარზე 26 ცენტნერი სიმინდია მიღებული. სიმინდის მოსავლიანობის გეგმა გადამეტებით არის შესრულებული.

მარცვლეულის წარმოების გადიდება კასპელ კოლმეურნეებს საშუალებას აძლევს გაზარდონ მეცხოველეობის პროდუქტიულობა. შარშანდელთან შედარებით წარმატება აქვთ. გადაჭარბებით არის შესრულებული სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის დავალებანი. მაგრამ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში კოლმეურნეობებს კვლავ ბევრი სერიოზული ნაკლი აქვთ.

სოფელ ქვემო ჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგემ გიორგი მუხიგულაშვილმა აღიარა: — კოლმეურნეობას პირუტყვის სულადობის გეგმები შესრულებული ექნებოდა, ნამატი რომ არ დაგვეზოცოდაო. სიკვდილიანობა კი მოუვლელობით მოხდა. არ ჰქონდათ წესიერად მოწყობილი სახბორე.

— ახლა პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისათვის, — თქვა მან, — ყველა პირობა შევქმენით. დავათბუნეთ სადგომი ბინები, უზრუნველყოფილი ვართ საკვებით, თვითეულ ძროხაზე 14 ტონა სილოსი დავამზადეთ.

რაიონში მებაღეობა-მევენახეობის განვითარების დიდი პერსპექტივებია, მეურნეობის ამ დარგებიდან კოლმეურნეობები დიდ ფულად შემოსავალს იღებენ.

— შარშან და წელს, — ამბობს აღაიანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი სერგო ნათელაშვილი, — მეურნეობამ 300 ჰექტარი ახალი ვენახი გააშენა. აღსანიშნავია, რომ ვენახს ჩვენს მიერ გამოყვანილი ნამყენით გაშენებთ, მარტო ამ გაზაფხულზე 1 მილიონ 200 ათასი ნამყენი ვაზი გამოვიყვანეთ.

სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა მიიყვანეს მაგალითები, რომ ბალ-ვენახებს ყველგან როდი უვლიან კარგად. წელს ამინდის ცუდ პირობებთან ერთად ესეც იყო მიზეზი, რომ რაიონმა ყურძნის მოსავლიანობის ნაკისრი ვალდებულება ვერ შეასრულა.

კონფერენციაზე ფართოდ შეეხნენ რაიონში პარტიულ-პოლიტიკურ და იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. წარმატებათა მოპოვებისათვის მთავარია ორგანიზატორული მუშაობა. იმ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რომელთა პარტიული ორგანიზაციები მასებში ეწევიან ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას, სამეურნეო წარმატებები სწრაფად მრავლდება.

კარგი მაჩვენებლები აქვთ რაიონში არსებულ სამშენებლო მასალების საწარმოებს. კასპის სიამაყეა ცემენტის ქარხანა, რომელიც გადაჭარბებით ასრულებს ცემენტის გამოშვების დავალებას. ახლახან ქარხანაში ამუშავდა ცემენტის მეექვსე წისქვილი. მაგრამ გეგმას ვერ ასრულებს შიფერის საამქრო. ძირითადად ამ საკითხზე იყო გამახვილებული ყურადღება ქარხნის პარტიიროს მდივნის პ. ჯავახაძის სიტყვაში.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მ. მ. ლელაშვილმა.

კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად ჩათვალა რაიკომის მუშაობა და შემდგომი საქმიანობისთვის დასახა ღონისძიებანი.

• • •

შედგა ახლადარჩეული რაიონული კომიტეტის პირველი პლენუმი. პლენუმმა პარტიის კასპის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ფ. მაღალაშვილი, მეორე მდივნად — ამხ. ი. მუხიგულაშვილი, მდივნად — ამხ. გ. გოგიაშვილი.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

საქართველოს კომუნისტი“ № 11

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის“ მორიგი მეთერთმეტე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი მასალები: **მოწინავე** — სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდის მნიშვნელოვანი რეზერვი, **ვ. ხვანიძე** — ფრიდრიხ ენგელსი ცხოვრებასთან თეორიის მჭიდრო კავშირის შესახებ, **ი. ზარობიანი** — საბჭოთა სოხლეთი — მაღალგანვითარებული ინდუსტრიული რესპუბლიკა, **უ. ხოფერია** — გაფართოებული კვლევა წარმოება და სოციალისტური დაგროვება სოფლის მეურნეობაში.

განყოფილებაში **საქართველოს კომპარტიის დაარსებისა და საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისთვის** გამოქვეყნებულია: **ს. ჩხარტიშვილი** — საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობა, **ნ. სტურუა** — ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა სოციალიზმის ეპოქაში, **გ. თევზაძე** — იქ, სადაც ქართული ფოლადი იბადება.

განყოფილებაში **ლექცია და კონსულტაცია** მოთავსებულია: **ვ. ტრაპაიძე** — ფასების მასშტაბის შეცვლისა და ამოვანად მიმოქცევაში არსებული ფულის ახალი ფულით შეცვლის შესახებ.

განყოფილებაში **საუბარი მეცნიერების საკითხებზე** გამოქვეყნებულია: **დ. ქვესელავა** — მანქანური მათემატიკა მოწინავე ტექნიკის საფუძველია.

პარტიული ცხოვრების განყოფილებაში დაბეჭდილია: **ვ. გოგოლაშვილი** — სიახლე პარტიულ სწავლებაში.



ზორის ბამბეულის კომბინატის მრთველთა ბრიგადამ, რომელსაც ცნობილი ქართველი გაგანოველი, სოციალისტური შრომის გმირი ელენე გეგელაშვილი ხელმძღვანელობს, ნოემბრის პირველ რიცხვებში შეასრულა შვიდწლედის მეორე წლის საწარმოო დავალება და გეგმის ზევით 1.425 კილ

ოგელისკი მთეგზე

აუცილებელად ვერ ჩაივლით ობელისკებთან, რომლებიც ახე ხშირია საქართველოს მთა-ბარში. ეს ობელისკები ეუწყებიან გარდასულ რევოლუციურ ბრძოლებზე, ხალხისათვის თავდადებულ შვილთა შეუდრეკელობაზე.

წმიდათა-წმიდა იყო მათი მიზანი — დაემხოთ მჩაგვრელები, გაეთავისუფლებინათ ბორკილდადებული მშრომელი მასები, აეფრიალებინათ ძლევამოსილი ოქტომბრის დროშა საქართველოში, რათა შვებით ამოესუნთქა ადამიანს თავის სოფელ-ქვეყანაში.

წმიდა ადგილებთან ასევე წმიდა ფიქრებით მიხვალთ... ერთი ასეთი სანუკვარი ადგილი ვნახეთ დარიალის ვიწროებში გველეთის ხიდთან. ობელისკი ამაყად ამართულა ზვიად მთათა შორის. აი წარწერაც:

„ამ ადგილებში 1918 წლის 13 ივლისს მენშევიკების შეიარაღებულ ძალებს მედგარი ბრძოლა გაუმართა დუშეთის მაზრის აჯანყებულთა დასახმარებლად მოსულმა დასავლეთ საქართველოს გლეხთა შეიარაღებულმა რაზმმა საშა გეგეჭკორის ხელმძღვანელობით“.

ღილის ქარი თითქოს ფურცლავს რევოლუციური ბრძოლების ისტორიის ამსახველ წიგნს და თქვენ კითხულობთ დაუვიწყარი შემართების ეპიზოდებს:

აჯანყდნენ დუშეთის მაზრის გლეხები საძულველი მენშევიკური მთავრობის დასამხობად.



გაიმართა უთანასწორო ბრძოლები ლეხურის, ჭანის, არაგვის, ივრის ხეობებში. აჯანყებულთ ძმური დახმარება სჭირდებოდათ. საშა გეგეჭკორის დიდი რაზმი ალაგირში (ჩრდილოეთ ოსეთი) ჩავიდა, იქიდან კავკასიისაკენ გაემართა. გეგეჭკორის რაზმმა გაიარა ლეჩხუმისა და რაჭის კლდოვანი ბილიკები, გადალახა ნისლით დაბურული მთები.

...მალე საშა გეგეჭკორის რაზმი ტოვებს კავკავს და დარიალისაკენ მიემართება. საშა გეგეჭკორს აღტაცებით ხვდებიან მოხევეები, რომლებსაც გადასცა სერგო ორჯონიკიძისაგან საჩუქრად გამოგზავნილი ტყვიამფრქვევი და ხამთო ზარბაზანი.

იყო ცხარე ბრძოლები, ხაკვდილ-სიცოცხლის ჭიდილი. უთანასწორო ბრძოლაში დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყება დამარცხდა. საბოლოო ბრძოლა გაიმართა გველეთის ხიდის მიდამოებში. აქ, სადაც ახლა ეს ობელისკია აღმართული, დაეცნენ ჯალათის ტყვიით განგმირული რაზმელები, დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყების ხელმძღვანელები თ. ჩუბინიძე, მ. პაპუნაშვილი, მ. გეგეჭკორი, ი. აბრამოვი, ა. ქუჩულორია...

მას შემდეგ აგერ ორმოც წელზე მეტი გავიდა.

და ეს ობელისკი დარიალის ვიწროებში გვახსენებს გმირული შემართების ადამიანებს, თავისუფალი, ლამაზი, აყვავებული საქართველოსათვის რომ იბრძოდნენ.

ს. ყურაშვილი.

• • •

სურათზე: ობელისკი დარიალის ვიწროებში, გველეთის ხიდთან.

ფოტო ვ. უბოფენკოსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცნობთ თქვენ ამ გოგონებს?!

კოლმეურნეობის კანტორაში მზიარული სიცილ-კისკისი შეწყდა და ახალგაზრდებმა დარბაზში ადგილები დაიკავეს. მალე ტრიბუნასთან ცქრიალა გოგონა მივიდა, სქელი რვეული გადაშალა, დამსწრეთა სია ამოიკითხა და კომკავშირული კრება გახსნილად გამოაცხადა.

ეს იყო მიმდინარე წლის იანვარში. ზნაურის რაიონის სოფელ იონჩის ახალგაზრდობა შმობლიური კოლმეურნეობისათვის საინტერესო საკითხს განიხილავდა. გაიმართა მსჯელობა საზოგადოებრივ წარმოებაში ჭაბუკებისა და გოგონების შრომითი მონაწილეობის შესახებ.

ილაპარაკეს ფერმაში შექმნილი მდგომარეობის ირგვლივ — ჩამორჩებოდა წველადობა და ადგილი ჰქონდა პირუტყვის დაცემის ფაქტებს. შეეხნენ საწარმოო ბრიგადების საქმიანობას და კომკავშირელთა შრომას, მათს მონაწილეობას სიმინდის, ბოსტნეულის, პურეულის მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში.

— ჩვენ ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ წარმოების ყველა უბანზე, — მტკიცედ განაცხადა კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ირა გაგლოევამ.

— მე ფერმაში წავალ სამუშაოდ, ძროველავად. პირობას ვიძლევი, რომ გამოცდილ მწველავებს არ ჩამოვრჩები, — აბობს ვენერა ქოქოევა.

— ჩვენ კოლმეურნეობის გამგეობა სადაც მიგვითითებს, იქ ვიმუშავებთ, — გამოთქვეს თავიანთი აზრი იუზა ზასეევამ და ვალია ალბოროვამ.

კრებაზე ყველა ახალგაზრდამ აიღო საგულისხმო ვალდებულება. კრება დამთავრდა, დღეები გავიდა და იონჩელი ახალგაზრდები აღებული ვალდებულებების შესრულებისათვის ბრძოლის ფერხულში ჩაებნენ.

იონჩა პატარა სოფელია, რომელიც მდინარე ფრონეს მარცხენა ფერდობზეა შეფენილი. იგი სულ რამდენიმე ათეულ კომლს ითვლის. მაგრამ კოლმეურნეობას ბევრი სამუშაო აქვს. ეს კოლმეურნეობა ხომ რამდენიმე წლის წინათ რაიონში სამარცხვინოდ ჩამორჩებოდა. სოფლის საქმე მაშინ წავიდა უკეთესად, როდესაც კოლმეურნეობის მეთაურობა გამოცდილ ორგანიზატორს გ. გაგლოევს დაავალეს. და აი ახლა ახალგაზრდებიც შეეშველნენ კოლმეურნეობის გამგეობას.

ვენერა ქოქოევამ სიტყვა საქმით დაამტკიცა. მას ფერმაში 13 ძროხა ჩაბარეს და უთხრეს: თუ გინდა მოწინავე იყო, საშუალოდ ძროხაზე 1.250 ლიტრი რძე უნდა მიიღო და ნამატი მთლიანად შეინარჩუნოო. მუყაითი გოგონა დღედაღამ ფერმაში იყო. საკვებს, მოვლას არ აკლებდა ძროხებს, მოზარდეულს. მან პირნათლად გაამართოა კომკავშირული ორგანიზაციის ნდობა — 20 ნოემბრისათვის თვითეულ ძროხაზე 1.258 ლიტრი რძე მიიღო. წლის ბოლომდე კი მთელი თვეა. მისი მაჩვენებელი კვლავ გაიზრდება.

მეღორეობის ფერმაში სახელი გაითქვა ჭაბუკმა ლონგი ჯიოევმა. მან ფერმაში 100 ღორი გაასუქა და სახელმწიფოს კარგი ნაკვებობის პირუტყვი მიჰყიდა. ფერმაში სამუშაოდ მისული 13 კომკავშირელიდან, რომელთა შორის 11 საშუალო სკოლის კურსდამთავრებულია, ყველამ გაანაღდა ვალდებულება. მათ შემოიღეს სანიტარული დღე ფერმაში, მორიგეობა ნამატთან.

— კომკავშირელები და ახალგაზრდები მინდორშიც საუცხოოდ მუშაობენ, — კმაყოფილებით აცხადებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. გაგლოევი. — წელს ჩვენი საქმეც კარგად წავიდა. მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის ვალდებულება გავანაღდეთ. მემინდვრეობაშიც არა გვაქვს ცუდი მაჩვენებელი. ამაში დიდია სოფლის შესანიშნავი ახალგაზრდობის წვლილი.

თავმჯდომარე განსაკუთრებით გულთბილად ილაპარაკობდა ახალგაზრდა მექანიზატორების ვიქტორ არსოევის, ვალოდია და ლონგი ჯიდლაძეების მისამართით.

— ისინი არიან კოლმეურნეობის სული და გული; ხნავენ, თესავენ, უკლიან ნათესებს, იღებენ მოსავალს...

იონჩელმა კომკავშირელებმა თავი ისახელეს საკვების დაგროვების, პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების საქმეში. კომკავშირელთა ძალებით 300 ტონა სილოსი ჩაიდო, მათ ჩაამწკრივეს თივის ჯაურები ძროხებისათვის. მათი ხელით შეკეთდა საძროხე, საღორე, სახბორე. აქ ნათლად გამოჩნდა იუზა ზასეევას და ვალია ალბოროვას ერთგულება საკოლმეურნეო საქმისადმი.

იონჩელი ახალგაზრდების შესანიშნავი თაოსნობა ფართოდ გავრცელდა სამხრეთ ოსეთის კომკავშირულ ორგანიზაციებში. მათი მაგალითისამებრ ბევრ ფერმაში შემოღებულ იქნა სანიტარული დღე, მოეწყო ახალგაზრდული საგუშაგოები, მორიგეობა ნამატთან და ა. შ.

შრომაში საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან იონჩელი ჭაბუკები და გოგონები.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

• • •

სურათებზე: იონჩელი კომკავშირელები — ვალია ალბოროვა, იუზა ზასეევა, ირა გაგლოევა და ვენერა ქოქოევა.

ფოტო ვ. უბოფენკოსი.

მშვენდება ჩემი სოფელი

კარბი მიღწევებით გამოირჩევა წითელწყაროს რაიონში სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. მისმა განუყოფელმა ფონდმა 30 მილიონ მანეთს მიაღწია. გასულ წელს შრომადღის ღირებულებამ 29 მანეთს გადააჭარბა.

შესანიშნავი კულტურის სახლი, საშუალო და დაწყებითი სკოლების შენობები, წისქვილი და ზეთსახდელი ქარხანა, საკოლმეურნეო სამშობიარო სახლი, კოლმეურნეთა 800-მდე ორსართულიანი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლი, — აი ის ნაგებობანი, რომლებიც სოფელს უკანასკნელ წლებში შეემატა.

ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცა საკოლმეურნეო აბანო, რომლის მშენებლობა და კეთილმოწყობა მილიონ მანეთზე მეტი დაჯდა.

ს. კობიაშვილი,
საკოლმეურნეო გაზეთ „კომუნიზმისაკენ“ რედაქტორი.

ასე მოხდება ფულის გადაცვლა

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორის მმართველმა ვ. კაჭარავამ ფულის ნიშნების გადაცვლისათვის მზადებასთან დაკავშირებით „კომუნისტის“ კორესპონდენტს უამბო:

— ამ დღეებში მოსკოვში დათავრდა თათბირი, რომელიც მიეძღვნა ფულის გადაცვლის ორგანიზებულად ჩატარების საკითხებს. ამ საქმეზე დამსწრეთ გვესაუბრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ა. კოსიგინი.

როგორც თათბირზე აღინიშნა, საბჭოთა საქართველო, მომმე რესპუბლიკებთან ერთად, წარმატებით ემზადება ფულის ნიშნების გადაცვლისათვის, ამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმის ორგანიზებულად მოწყობისათვის.

ჩვენი ინტერვიუ

იანვრის პირველ რიცხვებში ჩვენს რესპუბლიკაში ამოქმედდება ფულის ნიშნების გადასაცვლელი 500 პუნქტი. პუნქტებისათვის უკვე გამოყოფილია ბინები, დაჩქარებით მიმდინარეობს მათი კეთილმოწყობა. ფულის ნიშნების გამოცვლაზე იმუშავებს ათასობით საფინანსო დარგის მუშაკი.

ბანკის რესპუბლიკურმა კანტორამ მოიწყო სემინარი-თათბირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბანკის განყოფილებათა მთავარმა ბუღალტრებმა, უფროსმა მოლარეებმა. ასეთივე სემინარი უახლოეს დღეებში მოეწყობა ბანკის განყოფილებათა მმართველებისათვის.

როგორ იმუშავებენ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის განყოფილებები 31 დეკემბერს, 1 და 2 იანვარს?

— ამ კითხვაზე ამხ. ვ. კაჭარავამ შემდეგი გვიპასუხა:

— 31 დეკემბერს სახელმწიფო ბანკის დაწესებულებები კლიენტებთან ოპერაციებს არ აწარმოებენ. ყველა ის ოპერაცია, რომლებიც გათვალისწინებულია 31 დეკემბრისათვის, დამთავრდება 29, 30 დეკემბერს. 31 დეკემბერს გასაცემი ხელფასები გაიცემა 30 დეკემბერს.

პირველ იანვარს სახელმწიფო ბანკის დაწესებულებები იმუშავებენ მხოლოდ ფულის მიღებაზე (საგაჭრო და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებისათვის), ამავე დროს საკავშირო, კავშირობმულობის, ტრანსპორტის და ზოგიერთი სხვა ორგანიზაცია მოსახლეობასთან ანგარიშსწორებას აწარმოებს ახალი ფულით.

2 იანვარს ამოქმედდება ფულის ნიშნების გადამცვლელი 500-ვე პუნქტი. ფულის ნიშნების გადაცვლა აწარმოებს 1961 წლის პირველი კვარტალის განმავლობაში. ამავე პერიოდში ახალი ფულის ნიშნების პარალელურად იმოქმედებს ძველი ფულის ნიშნები ათი ერთზე გადაანგარიშებით.

ფულის ნიშნების გადამცვლელი პუნქტები იმუშავებენ დილის 10 საათიდან ღამის 2 საათამდე.

კულტურის უნივერსიტეტი სურამში

ხაშური. (საკ. კორ.). დიდი ხანი არ არის, რაც სურამში გაიხსნა კულტურის უნივერსიტეტი, რომელსაც ლიტერატურისა და ხელოვნების ფაკულტეტი აქვს. უნივერსიტეტში სწავლობენ მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. მსმენელებმა უკვე მოისმინეს ლექციები თემებზე: „თეატრალური ხელოვნების ზოგიერთი თავისებურებანი“, „თეატრი და ცხოვრება“, „აკაკი წერეთლის ცხოვრება და შემოქმედება“.

ჯერ საასპარეზ, შემდეგ გასასპარეზ

ჩვენი თანამემამულენი სტავროპოლის მხარეში

ოდის, მთა კაცის ნაბიჯებით მოემართება შენი დავაკაცების, მეორედ დაბადების დღე, ჩემო ტბილო მიწა-წყალო, მოდის და მოვაქეს ერის სიხარეე, სიხარული და საყვარული, დამკვიდრებული ამ მაღლიან ქვეყანაზე. ბოლქვს შენს მკერდზე გამოზრდილი, შენი ძუძუთაზოვი, შენს სიყვარულში დავაკაცებული ადამიანების გასაოცარი საქმენი — შენს ზურუშტკ სერებს, თმახუტკა ქედებს, შენს ოქროსფერ ველებს რომ ატყვია მათი გონების ნამოქმედარი, მათი მარჯვენის ნაამაგარი.

ფესვებმაგარი მუხა ხარ მრავალჯერნაცადი, ნაწამები და ნაგვემი, მაგრამ ძლიერი და უდრეკი, რადგან შენი ფესვი დიდ მიწაშია გაფენილი, დიდი მიწა მისი სიმაგრე და სიმტკიცე, ჩვენი სამშობლოს კიდითკიდეა მისი მფარველი და მოსარჩლე. ამტობაც ხარ ასე ძლეული ძლე, ამიტომაც შენი ამონაყარი ყლორტები, შენი ნერგი, ქართული მიწიდან გადაგული, ისევ შენეულად ყვავის, ქართველურად იფურჩქნება, თვითონაც ხარობს და სხვასაც ახარებს.

კავკასიის ქედს გადალმა, იქ, საიაც ლეკა შენი კიდე-განი, სადაც შენი ძმაკაცების ოსთა ქვეყანაც თავდება, იწყება მხარე თეალწარმტაცი ბაღნარებისა, ცდაზიდული ქედებისა და მკერდგადაშლილი ველმინდრებისა. ეს სტავროპოლის მხარეა, ჩემო მიწავ, შენი სისლისა და ხორცის წილი, ჩვენი დიდი მიწის ლაბანი კუთხე. აქ, ამ შიწაზე, სხვებთან ერთად ბინა დაუდგამს შენი ველის ყველებს, შენი მთების ასულებს. ყური ვამგდე, მე გიამბობ ზოგთა შესახებ; გეტყვი, როგორ ცხოვრობენ, რას აკეთებენ შენნი გასახარად, შენდა საამაყოდ, შენდა სადიდებლად.

ამ მხარეში ერთ-ერთ ლამაზ კუთხეს სიცოცხლის სამკეცდროს, ბედნიერების საყუდარს ეძახიან. ეს კისლოვოდსკია — ჯანის სამრთელისა და სიკეთის კერა, სად ბევრ დავრდომილს, სენით შეპყრობილს დაბრუნებია ძალა და სიმხნე. ამიტომაც ყოველს აქ სიცოცხლის ყვავარული ასე ძალუმად, უტეხი ძლიერებით.

ქალაქის ცენტრში, ხელსგულივით გაშლილი მოედნის პირას, ტირიფებისა და ბაღრების ჩრდილი ოქროსფრად მოციფე უზარმაზარი დაფა აღმართულა. ეს ქალაქის მოწინავეთა საჩვენებელი ადგილია. შრომისმოყვარე ადამიანთა მოღიმარი სახეები გასცქერიან მიდამოს. მათ შორის ქართველ ქალიშვილთა სახელებიც არის:

პავლიშვილი ელენე პეტრეს ასული... ლობეანიძე ელენე მალაქიას ასული...

1.

ირგვლივ ტრამალები, ტრამალები, გაეთოვებელი ველია... აქ ჩვენს წინაპრებს, მამულიშვილებს ურჩობისათვის, ცხოვრების სიმუხთლის წინააღმდეგ ამხეადრებისათვის სასჯელის მოსახდელად თუ გამოგზავნიდნენ შეკრულ-შეკოჭილთ. ვის შეეძლო ეფიქრა მაშინ, სურვილით, გულსთქმითა და ნების კარნახით ქართველ ქალიშვილი ყაზახეთში გაემგზავრებოდა და იქ სიცოცხლეს დარაჯად დაუდგებოდა, ადამიანთა იარების მტლად დაეფშვნოდა, ბედნიერებასა და სიხარულს დასაადგურებდა შორეულ მხარეში.

...სიხარულით მიიღეს, საავადყოფო შემოატარეს, საცხოვრებელი ადგილი მიეჩინეს და... დაიწყო ახალბედა ექიმის ბედი ცხოვრებასთან, ბრძოლა სიძველეებთან, გაპარკვებისაკენ შეუნელებელი სწრაფვა, წრთობა და გაკაჟება.

ქირურგი ელენე პავლიშვილი საქმიანობაშიც ისეთივე მხნე და გულადი აღმოჩნდა, როგორც შუა ახიისკენ გამგზავრებაში, ყარაგანდის რკინიგზის საავადმყოფოში სამაგალითო და ყველასათვის საყვარელი ადამიანი გახდა. მალე მის ქირურგიულ მოღვაწეობაში საკეთილი ხელწერაც გაჩნდა: ავადმყოფის მთელი მისი შინაგანი არსებით მომზადება რთული და ძნელი ოპერაციისათვის, გარეგნულად ოლიმპიური სიმშვიდის შენარჩუნება ოპერაციის დროს, რაც შეიძლება მეტი ეკონომია — ყოველი ცოცხალი ადგილის, ცოცხალი ქსოვილის უფნებელყოფა, დაცვა და გაფრთხილება.

შორს გაითქვა სახელი, მადლიან დოსტაქრად „მონინოლა“. მოდიოდნენ განა მარტო რკინიგზელები; ახლომახლო მცხოვრებლები, ყველა ეროვნების ადამიანები: რუსები, ყაზახები, უზბეკები, უიღურები, ყარაკალპაკები. უფრო გვიან ყამირელები, ქართველი ახალგაზრდებიც.

მისთვის ჩვეულებრივი გახდა უხიფათო ოპერაცია. საოპერაციო მაგიდასთან საოცრად დინჯს, აუჩქარებელს, შინაგანად მზადყოფნა და გაბედულს წრნასწარ მომზადებული ჰქონდა ოპერაციის გეგმაც, თუმცა კვალდაკვალ არასოდეს არ მიპყოლია მას. რადგან, მისი თქმით, არ არსებობს ორი ერთნაირი ავადმყოფი, მაშასადამე არ არსებობს ორი ერთნაირი ოპერაციაც — ყველა თავისებურად ორიგინალური და სხვადასხვაგვარია.

ერთხელ მის ოთახში შიშისაგან ფართოდ გახლეტლმა რამდენიმე თვალმა შეშოანთბა:

— ელენა პეტროვნა, ცოცხალმკვდარი ფეხმძიმე ქალი მოიყვანეს, მატარებლს ვაგონიდან გადმოვჯარდნილა, მენჯის ძვალი აქვს დაზიანებული.

იგი ერთხანს გარინდებული იდგა. შერე დინჯად წარმოთქვა:

— მოამზადეთ საოპერაციოდ!

უცებ გაეცალა ამ ქვეყნიერებას, მოაწყდა ირგვლივ ყველაფერს. მისთვის აოსებობდა მხოლოდ მომაკვდავი ქალი და მის გულთან მფეთქავი ცოცხალი არსება.

თეთრი ხალათი, თეთრი ქუდი. სახეზე აფარებული თეთრი ნიღბიდან მოჩანს მხოლოდ მისი მაღალი, ნათელი შუბლი და შავი დიდრონი, ჭკვიანი თვალები, რომელთა ძლიერი გამომეტყველება უშიშრად ამყოლებს ქალის გულის კასუხს:

— უნდა იცოცხლოს, უნდა გადარჩეს!

გადარჩა, მისმა მადლიანმა ხელმა იხსნა დედა და რვა თვის ბავშვი სიკვდილისაგან. ჭირის ოფლი მოიწმინდა. უცებ მოეშვა. მხლოდ ახლა იგრძნო, რა ძვრად დაუჯდა ამ მძიმე ოპერაციისათვის თავისივე თავის მომზადება. ორგანიზმს დაღლილობა დაეუფლა...

ჩოგორ არ ემეტებოდა ყაზახეთს, არ უნდოდათ მისი დათმობა... სიყვარულისთვის რა საუქმელია ვისი გვარისა ხარ, გულმა გული თუ იცინო, რა საკითხავია ერისშეილობა...

აქაც, სტავროპოლის მხარეში, წალკოტად ქცეულ კისლოვოდსკში, მთის კორტზე გადაჭიმულ ჯანის სამთელის სანატორიუმში, რომელიც სერგო ორჯონიკიძე სახელის ატარებს, ერთ-ერთ საჩინო ექიმად არის ცნობილი. ახალგაზრდა ქალი, უკვე გამოცდილმა და საკუთარი საექიმო ბიოგრაფიის მქონემ, სწრაფად დაპყრო ავადმყოფთა გული. საპატიო დაფაზე მისი მოღიმარი სახის მოთავსებაც ხომ ამის უტყუარი დადასტურებაა.

ელენა პეტროვნას ნახვის მსურველს დიდხანს მოუხდება დაცდა მისაღებ ოთახთან. ავადმყოფები რიგრიგად შედიან, მაგრამ საკმაოდ დიდხანს რჩებიან მასთან — კმაყოფილნი და სახემოღიმარნი გამოდიან იქიდან.

მისი მკურნალობის მეთოდი მარტო რეცეპტის გამოწერითა და წამლების მიღებით არ განისაზღვრება. განკურნების ერთ-ერთ პირობად მიაჩნია ავადმყოფისათვის ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც აღუძრავს მას დადებით ემოციებს, დაებრუნებს ფიზიკური სიძლიერისადმი რწმენას და სულის სიმშვიდეს.

თუ შეუქეთ გარყვნილობა, ან გაეუზიარეთ სანატორიუმის ხელმძღვანელობის აზრი მისი სანაქებო საქმიანობის შესახებ, იგი შეცბუნდება და გიპასუხებთ:

— მე ოსეთივე ვარ, როგორიც ყველა სხვა. რა არის იმაში გამოსარჩევი ან მნიშვნელოვანი, ავადმყოფის ჯანმთელობაზე ზრუნავდე და ფიქრობდე?!..

ეს თავმდაბლობაა, მას რომ ამაღლებს როგორც მკურნალსა და როგორც ადამიანს:

ასობით ადამიანის შინ ჯანმრთელად დაბრუნება, მათი აღტაცებული მადლობა — სიტყვიერი, წერილობითი, ჩაწერილი შთაბეჭდილების წიგნებში... მოხსენებები პიპერტონიული დაავადების მკურნალობის შესახებ კისლოვოდსკის პირობებში, რომლებიც ექიმთა საზოგადოების მიერ სერიოზულ კვლევით ნამუშევრად არის აღიარებული, თავის თავზე სისტემატურად მუშაობა და სამკურნალო საქმიანობაში დაოსტატება. მისთვის, როგორც მკურნალი ექიმისათვის, არ არსებობს დღის გაყოფა სამუშაო და არასამუშაო საათებად, კვირისა გამოსასვლელ და სამუშაო დღეებად. — ყველაფერი ეს განა ახალგაზრდა ექიმის ღირსებებზე არ მეტყველებს?

სანატორიუმში სამასამდე კაცი მუშაობს. გზა ადამიანების გულისაკენ ძნელი საპოვნია. მაგრამ ვისაც არ უნდა ჰკითხოთ, თანამშრომელს, ელენა პეტროვნას მხოლოდ სიმპათითა და სიყვარულით მოიხსენიებს. ეს ნამდვილი ადამიანური სიყვარულია, მისი თავმდაბალი შრომითა და ადამიანებისადმი უსაზღვრო ყურადღებით გამოწვეული.

— ადამიანები უნდა გიყვარდეთ. ისინი კარგები არიან. თუ ადამიანი ირწმუნე, დაიჯერე მისი, ცხოვრება უფრო მომხიბვლელი და შრომა უფრო იოლი გახდება, — იტყვის ხოლმე ელენე პავლიშვილი.

და ზრუნავს ელენე მათთვის — მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე ფიქრობს, ყველას გულში იხედება, სულს სწვდება, უკეთესად გართობისა და დასვენების მოწყობის ათასგვარ გეგმებს აგენს. იგი პროფკავშირის ორგანიზაციის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კულტმასობრივ სექტორს განაგებს. და აკი პირნათლად ასრულებს კიდეც თავის ადამიანურ ვალს ტოლ-სწორთა, ამხანაგთა და თანამშრომლებისადმი წინაშე.

გულმოდგინედ ემზადება კომუნისტი-ექიმი პარტიის რიგებში შესასვლელად. სანატორიუმის პარტორგანიზაციის მდივანი მარიამ მიხეილის ასული მიხეევა ამბობს:

— უმრავლოს ასეთი წევრები ჩვენს ორგანიზაციას; დამიმადლებენ კიდეც ენერგიული მუშაკის, განათლებული ადამიანის, კარგი ამხანაგის პარტიის რიგებში მიღებისათვის.

სანატორიუმის დირექციისა და პარტორგანიზაციის რეკომენდაციით ელენე პავლიშვილი ამ მოკლე ხანში კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე გაეგზავნება და სანატორიუმს სამედიცინო განყოფილების გამგედ დაუბრუნდება.

ქართული ტემპერამენტისა და გარეგნობის ადამიანს, ქართული ლამაზი ადათ-წესებისა და შნოიანი ენის მოსიყვარულს საქართველოში არასოდეს არ უცხოვრია. მისი მშობლები ფასანაურიდან ქალაქ ორჯონიკიძეში გადასახლებულნ. აქედან აფრენილმა მერცხალმა ჩკრა ცის კამარას ასე გამედეულად ახალგაზრდა, მაგრამ ძლიერი ფრთები.

— ქართელი ჩვეულებები, ქართული ენისადმი სიყვარული საიდან შემოგრჩა, თქვენ ხომ საქართველოში არასოდეს არ გიცხოვრიათ, — შეეკითხნენ მას ერთხელ.

— არსად თქმულა, რომ საქართველოდან გადალგულ ვაზს სტავროპოლის მხარეში სხვა რამე მოესხას,—იყო ქალის მოკრძალებული, მაგრამ განაწყენებული პასუხი.

2.

ეს გოგონა, სიცოცხლის სხივებს რომ აფრქვევს ირგვლივ, თვით ატარებს თავისში მზის ელვარებას, ადამიანურ გზნებასა და კაცთმოყვარეობის მოგზაგზე კოცონს. დიახ! ამ სხივმომფინარე ცოცხალ გოგოს ბევრი ადამიანისათვის დაუბრუნებია ჯანმრთელობა, სიმხნე და სიმტკიცე. თუმცა იგი არც პეიზატორია და არც თერაპევტი, არც ქირურგია და არც ორთოპედი. იგი უბრალო, სრულიად ჩვეულებრივი ექიმის თანაშემწეა, სანიტარეადურო მედიცინის და.

— ნეტავ იმას, ვისაც მისი მადლიანი ენა და ხელი მისწვდება, — კმაყოფილებით ამბობენ მის შესახებ ავადმყოფები.

ლენა ქართველი ქალიშვილი გახლავთ. სოფელ ღების კვიდრია, გვარად ლობეანიძე.

— დედამ რომ შვილი გაზარდოს, ემაგრე შენისთანაო, — ამბობენ მასზე კისლოვოდსკის საბჭოთა მეურნეობის ქეჩაზე მცხოვრები ქართველები. უხარია საცხოვრებლად გადმოსულ ქართველებს თავიანთი ერის შვილის ზოდა და დაქალება, სანაქებო საქმიანობა და ღირსეული პატივი.

საფერშლო-სამეანო ტექნიკუმის წარმატებით დამთავრების შემდეგ 18 წლის გოგონასათვის ღია იყო სწავლისა და გარჯის კარი. მან გარჯა ირჩია, შრომით დაიწყო ცხოვრების ფართო შარაგზაზე გამოსვლა. სამამულო ომში მამის დაღუპვის შემდეგ ხელმოკლედ დარჩენილ ოჯახს შეეშველა, დედას მხარში ამოუდგა და პატარა დაკოს მოვლა-პატრონობა ეკისრა.

სულითა და გულით მოეკიდა საქმეს. შეიყვარა შრომა. ნამდვილ დაეპკურა ადამიანთა გულებს. უკანასკნელ ხანს ქანგბადის კანქეშ შეყვანის რთულ საქმეს დაეუფლა. ბრონქიალური ასტმის, წნევის, თავის ტკივილის და კიდევ რამდენი სხვა ავადმყოფობის განკურნების ერთ-ერთი საშუალებაა ლენას მიერ ახლად ათვისებული მეთოდი.

ამას წინათ სანატორიუმში მოიყვანეს ეპილეპსიით დაავადებული, სულიერი ტრავმა და ავადმყოფობა მიღებული ჭკონდა ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის გამო. რვა დღის მეზარეობის შემდეგ უკონოდ მყოფ ავადმყოფს ლენამ ჩაუტარა ერანგგაბმით მკურნალობის კურსი. ავადმყოფს ეძლიანდგ თავს დასტრიალებდა. მისი ერთადერთი საზრუნავი ახლა ის იყო — სიცოცხლეს გაემარჯვნა სიკვდილზე, სისუტე ეძლია დაკრდომილს. უნდა გენახათ მისი სიხარული, როცა მკურნალობამ, კარგმა მოვლამ, რომელშიც ლენას დიდი წვლილი მიუძღოდა, თავისი გაიტანა.

საქმის კარგი მცოდნე, სერიოზული და საკმაოდ გამოცდილი გოგონა სტანიცა მარიინსკაიას საავადმყოფოში დასახმარებლად მიავლინეს. ერთ თვეზე მეტ ხანს გულდაგულ უვლიდა ავადმყოფებს. ქება დაიმსახურა, პატივით გამოისტუმრეს.

სანატორიუმში, სადაც ლენა მუშაობს, მთავარი ექიმია ქალი. ქალია პარტიული ორგანიზაციის მდივანიც. ქალთა ხელმძღვანელობას კიდევ ერთი შეემატა.

ელენე ლობეანიძე კომკავშირის კომიტეტს მეთვნად აირჩიეს. დაიწყო ლენას ფიქრი და ზრუნვა ახალგაზრდობაზე, მის შრომოს საქმიანობაზე, განათლებაზე, გართობასა და დასვენებაზე, ყველგან და ყოველთვის ახალგაზრდობა სურს იყოს პირველ რიგებში, საშეფო მუშაობაში, მოსავლის აღებაში, კულტურული ღონისძიების გატარებაში. აგიტატორი და მოსაუბარე, დრამატული წრისა და მომღერალთა გუნდის აქტიური მონაწილე, იგი ყველგან და ყველაფერში თვით არის მაგალითის მაჩვენებელი.

უკვე აღარ ყოფნის მიღებული ცოდნა, პროფესიულ დოსტატებაზე ფიქრობს, სწავლის გაგრძელებაზე ოცნებობს. ცხოვრებამ ბევრი რამ შესძინა, მაგრამ სურვილი მკურნალად გახდომისა სულ უფრო და უფრო ეუფლება მის არსებას.

საკუთარ თავზე ბევრს მუშაობს. მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის პირველი წელი ხუთიანზე დაამთავრა, უმაღლესი სსსწავლებლის მოსამზადებელ კურსებზე დაიარება.

დროზე მეტი საქმე აქვს ლენას. მაგრამ ყველაფერს ასწრებს ქალი, ადამიანისადმი სიყვარული ძალასა და სიმხნეს ჰმატებს. ისიც სურა, ადამიანის ცხოვრების მოწყობის ძალაუფლება რომ ადამიანისვე ხელშია. აკი თავისი ცხოვრების საფეხურებიც თვითონვე ააგო ასე მიჯრითა და მიწყობით.

დღესაც ჩვეულებრივი მჩქეფარე სამუშაო დღე დასრულდა. დამთავრდა მომღერალთა გუნდის მეცადინეობაც. მიუღლენა შინისაკენ. ქართველთა უბნის გასწვრივ და ღიღინებს: ჩემო ციცინათელავ, სად მოფრენ ნელა-ნელა...

ახლა ლენას ფიქრები გარს ეკვლება საქართველოს მთებსა და ველებს.

იხვიმე, ჩემო მიწავ!

შენი შვილების, შენი გამოზრდილი ქალ-ვაჟების თავდადებული, ალალმართალი შრომითა და გარჯით მბრეგბაშლელმა, წელგამართულმა სულ წინ ბარე გადმარჯვებიდან გამარჯვებამდე!

თინა ზარგინავა.
კისლოვოდსკი — თბილისი.



კოლონიალიზმი გრალდებულის სკამზე

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე



ნიუ-იორკი, 28 ნოემბერი. (საკდესი). საკდესის კორესპონდენტები ვ. ოზეროვი და ვ. ბოგაჩოვი იუწყებიან:

დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე დიდმნიშვნელოვანი დღეა. ასამბლეა შეუდგა კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის განხილვას. დეკლარაცია, რომელიც მომდინარე სესიის განსახილველად 23 სექტემბერს შეიტანა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისტორიაში პირველად აყენებს მთელი სიგანით საკითხს იმის შესახებ, რომ სავსებით და დაუყოვნებლივ აღმოიფხვრას ადამიანთა ჩაგვრისა და დათრგუნვის სამარცხვინო სისტემა.

ასამბლეის პლენარულ სხდომაზე პირველმა ილაპარაკა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ა. ზორინმა.

ჩვენ, თითქმის ასი სახელმწიფოს წარმომადგენელნი, განაცხადა ვ. ა. ზორინმა, შევიკრიბენით აქ, რათა განვიხილოთ და ისტორიული გადაწყვეტილება მივიღოთ კოლონიური სისტემის საბოლოო და სრული ლიკვიდაციის, ყველა კოლონიური ქვეყნისა და ხალხის განთავისუფლების საკითხის შესახებ, რომელიც საარსებო მნიშვნელობის საკითხია მთელი მსოფლიოსათვის.

გამოხატა რა მილიონობით საბჭოთა ადამიანის ნება, თქვა შემდეგ საბჭოთა დელეგატმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მომდინარე წლის 23 სექტემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის განსახილველად შეიტანა დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.

წაიკითხა რა დეკლარაციის ტექსტი, ვ. ა. ზორინმა დასასრულ განაცხადა: სსრ კავშირის დელეგაცია გამოთქვამს რწმენას, რომ გენერალური ასამბლეის XV სესია ისტორიული ნიშანსვეტი იქნება კოლონიალიზმის სრული და საბოლოო ლიკვიდაციის გზაზე, ხოლო 1960 წელს სამართლიანად დაერქმევა არა მარტო „აფრიკის წელი“, არამედ აგრეთვე კოლონიური მონობისაგან ყველა ხალხის განთავისუფლების წელი, სადაც უნდა ცხოვრობდნენ ისინი: აფრიკაში, აზიაში თუ ლათინურ ამერიკაში, მთელ დედამიწაზე.

ნიუ-იორკი, 29 ნოემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 28 ნოემბრის დღის სხდომაზე გრძელდებოდა განხილვა დეკლარაციისა კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, რომელიც დღის წესრიგში შეტანილია საბჭოთა კავშირის წინადადებით.

სხდომაზე პირველი გამოვიდა პორტუგალიის დელეგატი, რომელმაც გაბრაზებით ილაპარაკა საბჭოთა წინადადებაზე იმის შესახებ, რომ დაუყოვნებლივ მიენიჭოს დამოუკიდებლობა ყველა კოლონიურ ქვეყანას. პორტუგალიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისი დელეგაციის აზრით უმჯობესია, ასამბლეამ განიხილოს „მაღალი პრინციპები და იდეალები“ და არა კოლონიალიზმის ლიკვიდაციის კონკრეტული პრობლემები. მან მოუწოდებლად განაცხადა, რომ პორტუგალიის მთავრობა, რომელიც, როგორც ცნობილია, ულმობლად ახშობს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას კოლონიებში, „ამაყობს მუშაობით, რომელიც შესრულებულია საზღვარგარეთის ტერიტორიებზე“.

კამბოჯის დელეგატმა 25 ქვეყნის სახელით შეიტანა პროექტი რეზოლუციისა განსახილველი საკითხის შესახებ, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ განხორციელდეს ღონისძიებანი, რათა სამეურვეო და არათვითმმართველ ტერიტორიებზე ხელისუფლება გადაეცეთ ამ ქვეყნების ხალხებს. რეზოლუციის პროექტი არ შეიცავს კოლონიური ქვეყნებისთვის სრული დამოუკიდებლობის მინიჭების კონკრეტულ ვადებს.

ირანის წარმომადგენელი, რომელმაც ფრაზად აბსტრაქტულად ილაპარაკა კოლონიურ სისტემაზე, ამავე დროს ქება-დიდებას ასხამდა ინგლისსა და საფრანგეთის „პოლიტიკურ გენიას“ მათს კოლონიურ პოლიტიკაში.

შემდეგ გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელი ირეი ნოსეკი. მან განაცხადა:

საკითხს, რომელსაც ამჟამად ასამბლეა განიხილავს, განსაკუთრებით დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს.

ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირის მიერ შეტანილ დეკლარაციას და თქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოვალეობაა მოუწოდოს კოლონიურ სახელმწიფოებს დაუყოვნებლივ მიანიჭონ თავისუფლება და დამოუკიდებლობა თავიანთ კოლონიებს. ხოლო თუ ისინი ეცდებიან შეაჩერონ კოლონიური ხალხების განთავისუფლების პროცესი, მაშინ მთელმა თავისუფლებისმოყვარე კაცობრიობამ მორალური და ეკონომიური დახმარება უნდა გაუწიოს ამ ხალხებს.

გენერალური ასამბლეის დღის სხდომაზე უკანასკნელმა ილაპარაკა ცეილონის დელეგატმა ა. ბ. პერერამ. კოლონიური ქვეყნებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის მიღება, თქვა მან, მობრუნების პუნქტი იქნება კაცობრიობის ისტორიაში. ჩვენ ყველანი მადლიერი უნდა ვიყოთ საბჭოთა კავშირისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ხრუშჩოვისა, განაცხადა პერერამ, იმ ღონისძიებებისათვის, რომლებიც მათ განახორციელეს, რათა შეეტანათ კოლონიალიზმის ლიკვიდაციის საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღის წესრიგში, და იმისათვის, რომ ისინი დაუცხრომლად იბრძვიან ამ პრობლემის გადასაჭრელად.

25 ქვეყნის რეზოლუციის ავტორთა სახელით ცეილონის დელეგატმა განაცხადა, რომ ისინი მიესალმებიან ყოველ შესწორებას მათი რეზოლუციისადმი, რომლებიც კი დაეჩქარებენ კოლონიალიზმის აღსასრულს.

ამით დამთავრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დღის სხდომა.

ვენესუელის ამბები

ნიუ-იორკი, 28 ნოემბერი. (საკდესი). უკანასკნელ ცნობების მიხედვით, მღელვარება ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში გრძელდება. „პრეზ“-დენტ ბეტანკურის მთავრობამ, რომელიც ცდილობს ჩაახშოს ხალხის მასების გამოსვლები, ჯარები გაიწვია დედაქალაქში. პრეზიდენტის სასახლესთან თავმოყრილია ტანკები. პრეზიდენტმა ნაწილობრივ გაუქმა საკონსტიტუციო გარანტიები და უბრძანა შეიარაღებულ ძალებს ჩაახშონ, როგორც მან თქვა, გეგმა აჯანყებისა, რომლის მიზანია დამყარდეს „ისეთი რეჟიმი, როგორიც კუბაშია“.

ნიუ-იორკი, 29 ნოემბერი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტო კარაკასიდან იუწყება, გუშინ საღამოს ვენესუელის დედაქალაქში მთავრობის ჯარებმა სროლა აუტეხეს დემონსტრანტებს, რომელნიც თითქოს ცდილობდნენ იერიში მიეტანათ კატიას გარეუბნის საპოლიციო უბანზე.

პოლიციამ გამოაცხადა, რომ მოკლულია ერთი და დაჭრილია 32 კაცი.

ნიუ-იორკი, 30 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ამერიკის საინფორმაციო საგენტოს კორესპონდენტები კარაკასიდან (ვენესუელა) იუწყებიან, ვენესუელის ეროვნული გვაოდიის ქვეგანაყოფებმა გუშინ ხელი იგდეს ვენესუელის კომუნისტური პარტიის ორგანოს „ტრიბუნა პოპულარის“ სტამბა იმ საბაბით, თითქოს გაზეთი ეწეოდა „ძირგამომთხრელ საქმიანობას“.

მიუხედავად უმკაცრესი რეპრესიული ღონისძიებებისა, რომლებიც ვენესუელის ხელისუფლებამ მიიღეს მთავრობის პოლიტიკის გამო უკმაყოფილო დემონსტრანტთა წინააღმდეგ, მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები კარაკასში გრძელდებოდა 29 ნოემბერს. არასრული მონაცემებით, განელილ ხუთ დღეში - პოლიციისა და სტუდენტების შეტაკების შედეგად მოკლულია ექვსი და დაჭრილია ორასამდე კაცი. ნავთობის სამადოების რაიონში მას შემდეგ, რაც მოვიდა ცნობები „არეულობის,“ შესახებ, გაგზავნენ ეროვნული გვარდიის ქვეგანაყოფები. უმაღლესი სამხედრო სარდლობის წარმომადგენლები ეთათბირნენ პრეზიდენტ ბეტანკურს. ამ უკანასკნელმა მოუწოდა არმიას „ჩაშალოს აჯანყების გეგმა“.



აბა, მიბიძგე!

ნახატი ამერიკის პროფკავშირულ გაზეთ „აფლ-სიო ნიუზიდან“.

დე გოლი ფეხქვეშ თელავს ალჟირის თვითგამორკვევის პრინციპს

*

სისხლი იღვრება ვენესუელის ქუჩებში

გელგიამი გუნდესვერის განლაგების მემორანდუმი

ბონი, 29 ნოემბერი. (საკდესი). როგორც დპას საგენტო იუწყება, იმ მოლაპარაკების მსვლელობაში, რომელიც ბელგიის თავდაცვის მინისტრს ჟილსონს ჰქონდა ბონის თავდაცვის მინისტრ შტრაუსთან, ბუნდესვერის სარდალთან გენერალ ჰაიზინგერთან და დასავლეთ გერმანიის სამხედრო საჰაერო ძალების სარდალთან გენერალ კამჰუბერთან, მთავარი ყურადღება დაეთმო „სტარფაიტერის“ ტიპის სამხედრო თვითმფრინავების ეროობლივი წარმოების გეგმას.

გარდა ამისა, აღნიშნავს საგენტო, იხილავდნენ დასავლეთ გერმანიის არმიისათვის ბელგიის ტერიტორიაზე ბოლიგონების მიცემისა და ბუნდესვერის სამხედრო საწყობების შექმნის საკითხებს.

ვაშინგტონი, 28 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი მ. საღათელიანი იუწყება: სპეციალურმა კომისიამ, რომელიც პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა მომდინარე წლის თებერვალში შექმნა, გუშინ გამოაქვეყნა მოხსენება, მოხსენებაში დასახულია მიზნები, რომელთა მისაღწევად, მოხსენების ავტორთა აზრით, შეერთებულმა შტატებმა უნდა იბრძოლონ მომავალი ათი წლის განმავლობაში.

კომისია ძირითადად შედგენილი იყო ამერიკის შეერთებული შტატების უმსხვილესი მონოპოლიებისა და სამხედრო წრეების წარმომადგენელთაგან. კომისიის ვიცე-თავმჯდომარე — ფრენკ პეისი ამერიკის შეერთებული შტატების უმსხვილესი სამხედრო კონცერნის „ენერალ დაინამიკს კორპორეიშნის“ პრეზიდენტია, რომელიც იარაღს აწარმოებს. კომისიის მბრძანებლობა ირიცხა „ფორბს“ ჟურნალ და ნეიტრის“ კომპანიის პრეზიდენტი ჯ. ხ. გრინფიელტი, ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი ე. დ. კანბამი, ნაფტის შეიარაღებული ძალების ყოფილი მთავარსარდალი, გადამდგარი გენერალი ალფრედ გრიენტერი, აგრეთვე ამერიკის შრომის ფედერაცია — საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის პროფკავშირული გაერთიანების მეთაური ჯორჯ მინი და სხვები. კომისიას მეთაურობდა „ამერიკის ასამბლეის“ პრეზიდენტი გ. რისტონი.

როგორც აღნიშნულია მოხსენების წინასიტყვაობაში, მოხსენების შემდგენელთა მუშაობა დაფინანსებული იყო ფორდის, ოლეფელერის, მორგანის მონოპოლია „იუნაიტედ სტეიტს სტილ კორპოლეიშნის“ ფონდებით, აგრეთვე კომპანია „ჯენერალ მოტორსის“ ფონდით.

ამან განსაზღვრა პრეზიდენტის სპეციალური კომისიის მოხსენების ხასიათი, რომელიც არსებითად ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ის ცდაა, რომ გამონახონ კაპიტალისტური სისტემის დაცემისა და ხრწნის შეწყვეტის გზა.

სოციალიზმის წარმატებანი და სოციალიზმის იდეების მზარდი პოპულარობა მთელ მსოფლიოში სერიოზულ შეშფოთებას იწვევს მოხსენების ავტორთა შორის. სწორედ ეს იყო ძირითადი სტიმული „თეორიული კვლევა-ძიებისათვის“, უკვე მოხსენების წინასიტყვაობაში ავტორები პირდაპირ აღიარებენ, რომ სოციალიზმის სამყაროს წარმატებით განვითარებას ხელს უწყობენ „საბჭოთა კავშირის უდიდესი და სწრაფად მზარდი ძალიერება, წეთელი ჩინეთის სამრეწველო და სამხედრო პროგრესი, პოლიტიკური ორგანიზაციისა და პროპაგანდის მათი უდიდესი უნარი, აგრეთვე კომუნისტური დოქტრინის ფართო მიმზიდველობა იმ ხალხებისათვის, რომლებსაც სურთ რაც შეიძლება მალე განთავისუფლდნენ სიღატაკისაგან“.

1946 წლიდან მილიარდზე მეტი ადამიანი აზიისა და აფრიკის ქვეყნებში განთავისუფლდა კოლონიური ბატონობისაგან, აღნიშნავენ მოხსენების ავტორები. ამ ქვეყნებში არსებობს „ხელსაყრელი ნიადაგი კომუნისტური იდეების მიღებისა და მათი გამარჯვებისათვის. მოკლედთა ეს საგანგაშო ნაკადი განსაზღვრავს ჩვენს წინაშე. მდგომ პრობლემათა დიდ მნიშვნელობას“, — ნათქვამია მოხსენებაში.

საშინაო ამოცანების განყოფილებაში მოხსენების ავტორები ვერ ბედავენ დაასახონ ტესეი ამოცანაც კი, როგორიცაა უმუშევრობის სრული ლიკვიდაცია. ისინი მხოლოდ წინადადებას აყენებენ, რომ „მიაღწიონ იმას, რომ უმუშევრობა განუწყვეტლივ დარჩეს სამუშაო ძალის საერთო რაოდენობის დაახლოებით 4 პროცენტის დონეზე“, ესე იგი რეკომენდაციას იძლევიან შენარჩუნებულ იქნას უმუშევართა მუდმივი არმია.

მოხსენებაში წამოყენებული არ არის არავითარი ახალი სერიოზული ღონისძიება ამერიკის ეკონომიკის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. იგი მხოლოდ შეიცავს ზოგად ფრაზებს იმის შესახებ, რომ საჭიროა შენარჩუნებულ იქნას „გაწონასწორებული ეკონომიკა“.

მოხსენების განყოფილებაში, რომელიც მიძღვნილია ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობისადმი, აღიარებულია, რომ მილიონნახევარზე მეტი ამერიკელი ფერმერი თვითანთი ფერმიდან წელიწადში იღებს 1.500 დოლარზე ნაკლებს და არ შეუძლია გაჩერვებას დააღწიოს თავი. 1950 წლთან შედარებით ფერმერთა მეურნეობების რაოდენობა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1 მილიონით შემცირდა გაჩანაგებულ ფერმერთა ხარჯზე.

მოხსენებაში გამოთქმულია შეშფოთება იმის გამო, რომ ამერიკის მეცნიერება ჩამორჩება საბჭოთა მეცნიერებას და რეკომენდებულია „ამ ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის ახალი ღონისძიებანი“. „ჩვენ მთავარი უპირატესობა უნდა მივიცეთ მეცნიერებისა და ტექნიკის იმ ასპექტებს, ოოპლებიც გაადიდებენ ჩვენს საბჭოური ძალიერობას, — ხაზგასმით აღნიშნავენ ავტორები. — ეს მიზნები საფუძველად უნდა დაედოს ჩვენს სამოქალაქო პროგრამებსა და პოლიტიკას კოსმოსური ფრენის მიმართ“.

მოხსენების მეორე ნახევარი შეიცავს რეკომენდაციებს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელმა ამომრჩეველმა პრეზიდენტის ამასწინანდელ არჩევნებში ცხადყო, რომ იგი მთავრობისაგან მოელის რეალისტურ პოლიტიკას, რომელიც მიზნად დაასახავს ცივი ომის შეწყვეტას, ანიარაღების მიღწევასა და საერთაშორისო დაძაბულობის საერთო შენელებას, მოხსენების ავტორები ეწინააღმდეგებიან პროგრამას, რომელიც ამკაცრად ეწინააღმდეგება ამერიკელი ხალხის ამ მისწრაფებებს. „ჩვენ ყოველი ღონისძიებით უნდა შევინარჩუნოთ, — ნათქვამია მოხსენებაში, — საკმაო სიმძლავრის სტატეგიული და ტაქტიკური შეიარაღებული ძალები... ჩვენ მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ გავიოოთ მსხვერპლი, რაც აუცილებელია ასეთი შეიარაღებული ძალების შექმნისა და შენახვის მზარდი ღირებულების გადასახდელად“. მოხსენება მოუწოდებს, რომ „განუწყვეტლივ განმტკიცდეს“ ნატო და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა სამხედრო ბლოკები და ალიანსები.

მოხსენების ავტორები რეკომენდაციას იძლევიან კვლავინდებურად მხარი დაუჭირონ ჩანკაიშეკ მარონეტს, სამხრეთ კორეის რეჟიმს, განაგრძონ სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებისთვის სამხედრო და ეკონომიური დახმარების პროგრამა.

აღნიშნავენ რა ამერიკის საზოგადოებრიობის განწყობილებებს, მოხსენების ავტორები მეტად ზოგადი ფორმით აცხადებენ განიარაღებისადმი მისწრაფებას. მაგრამ ისინი რეკომენდაციას იძლევიან, რომ ფრთხილად გადადგან ნაბიჯები განიარაღების პრობლემის გადასაჭრელად, დაწყებული კონტროლითა და ინსპექციით.

ეხებიან რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში არსებულ ახლანდელ მდგომარეობას, მოხსენების ავტორები სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ „იმ ხმების მზარდმა ბლოკმა, რომელიც ამ ორგანიზაციის ახალ და ნეიტრალურ წევრებს ეკუთვნით, შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დაიწყებს ისეთ გადაწყვეტილებათა მიღებას, „რომლებიც ეწინააღმდეგებიან ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს“.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ მოხსენების ერთ-ერთი ავტორი, ამერიკის პროფკავშირული ბოსი მინი. სპეციალურ დამატებაში „კატეგორიულად გამოდის იმის წინააღმდეგ, რომ განვითარებულ იქნას კონტაქტები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს შორის კულტურული, პროფკავშირული და მეცნიერული გაცვლის დარგში.

პრეზიდენტის სპეციალური კომისიის მოხსენება მორიგი დოკუმენტია, რომელიც ცხადყოფს, რომ ამერიკის მონოპოლიები, მხედრობა და ცივი ომის სხვა ძალები ცდილობენ განაგრძონ გამალებული შეიარაღება და მხარს უჭერენ საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ გამწვავებას.

„მოვლენათა საგანგაშო ნაკადი...“

პრეზიდენტის კომისიის მოხსენება

სამხედრო წესები ჰაიტიში

ჰავანა, 29 ნოემბერი. (საკდესი). იმოწმებს რა პორტო-პრენსას (ჰაიტი) რადიოს ცნობებს, პრენსა ლატინას საგენტოს კორესპონდენტი სანხუანიდან (პუერტო-რიკო) იუწყება, რომ მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლების გაძლიერებასთან დაკავშირებით ჰაიტის პრეზიდენტმა დიუვალიემ ჰაიტში შემოიღო სამხედრო წესები. მთავრობამ აკრძალა მშრომელთა გაფიცვები და დემონსტრაციები, დაითხოვა ახალგაზრდობის ყველა ორგანიზაცია, შემოიღო ცენზურა, საპყრობილეებში ამწყვდევს ოპოზიციური ეროვნული პარტიის წევრებს. ოფიციალურად გამოცხადებულ ვადაზე ერთი თვით ადრე შეწყდა მეცადინეობა უმაღლეს სასწავლებლებში. უფრო ადრე დაიხურა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და ოთხი სხვა უმაღლესი სასწავლებელი.

მაგრამ, მიუხედავად ამ ღონისძიებებისა, ჰაიტიში გრძელდება სტუდენტთა და მუშათა დემონსტრაციები, რომლებიც მოითხოვენ საპყრობილეებიდან გათავისუფლონ სტუდენტთა და მუშათა ორგანიზაციების ხელმძღვანელები. დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის, რომელიც იარაღს იყენებს, ხდება გაფფრთხილებული შეტაკებანი. დემონსტრანტთა შორის არიან მოკლულები და დაჭრილები.

დიუვალიეს რეპრესიული ღონისძიებანი უკმაყოფილებას იწვევს კათოლიკური ეკლესიისა და შეიარაღებული ძალების მაღალ წრეებშიც კი.

ავტომანქანა 3 მანეთად

ბუშინ კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში თავი მოიყარა თბილისის მშრომელთა მრავალმა წარმომადგენელმა. აქ დაიწყო საქართველოს სსრ 1960 წლის მეოთხე გამოშვების ფულისა და ნივთების ლატარიის მოგებათა ტირაჟი.

ტირაჟის განმავლობაში გათამაშდება 3.375.000 მანეთის საერთო ღირებულების 90.000 ნივთისა და ფულადი მოგება. ნივთის მოგებათა შორის თამაშდება ავტომანქანები „ვოლგა“, „მოსკვიჩი“, პიანინოები, ტელევიზორები, საწოლი ოთახის გარნიტურები, სარეცხი და საკერავი მანქანები, მაცივრები და სხვ.

სატირაჟო ბორბლებიდან ნომრებს იღებენ ცქრიალა გოგონები და ბიჭები. სატირაჟო კომისიის წევრი აცხადებს:

— სერია № 56983, ბილეთი № 039. მოგებად ხვდა „მოსკვიჩი“. პიანინოები მოიგეს: № 57304 სერიის ბილეთმა № 158 და № 55479 სერიის ბილეთმა № 062.

ტირაჟი გრძელდება.

სურათზე: — ლატარიის ტირაჟის ჩამტარებელ კომისიაში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲯᲝ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘ

ᲑᲣᲨᲘᲜ რიგაში მოეწყო სსრ კავშირის ქალთა საჯადრაკო ჩემპიონატის უკანასკნელ ტურებში გადადებული პარტიების დამთავრება, აგრეთვე გათამაშდა გამოტოვებული პარტიები.

12 გადადებული პარტიიდან დამთავრდა მხოლოდ 7, დანარჩენები კვლავ გადადო. ამ დღეს ო. იგნატიევამ მოუგო ა. ვიტკოვსკაიას, ვ. ტიხომიროვამ — კ. ზვორიკინას, ვ. კოზლოვსკაიამ — ტ. კრიუკოვას, ვ. კაუშილაიტემ — ვ. ტიხომიროვას, ო. რუბცოვამ — ს. როზოკრეს, ვ. კაუშილაიტე-ლ. ვოლპერტისა და მ. ტოგონიძე-ტ. ზატულოვსკაიას პარტიები ყაიმით დამთავრდა.

გათამაშდა ორი გამოტოვებული პარტია. ქართველმა ოსტატმა ნ. გაფრინდაშვილმა შავებით ძლიერად ჩაატარა პარტია ტ. ფილანოვსკაიასთან და გათამაშების ცხრილში მორიგი ქულა ჩაიწერა. ა. კუშნირ-ა. ჩაიკოვსკაიას პარტია ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, 10 ტურის შემდეგ ლიდერები არიან ნ. გაფრინდაშვილი და ვ. ბორისენკო, რომლებსაც შვიდ-შვიდი ქულა აქვთ. ტ. ზატულოვსკაიას 6.5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

კანადელ ჰოკეისტთა მეოთხე მატჩი

ᲑᲣᲨᲘᲜ მოსკოვში გაიმართა კანადელ ჰოკეისტთა მეოთხე გამოსვლა. „ჩატამ მარუნსის“ საკლუბო გუნდი ამ დღეს შეხვდა დედაქალაქის „სპარტაკის“ ჰოკეისტთა კოლექტივს. საინტერესო ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 3:3.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲢᲘᲠᲝᲜᲔᲑᲘᲗ

△ **ᲘᲝᲚ ᲥᲕᲔᲯᲒᲣᲨᲘ:** ჟურნალ „ფუსბალ-ვობეს“ კორესპონდენტის აზრით, ინგლისელები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ თამაშში დიდ სიძნელეებს არ წააწყდებიან პორტუგალიელებთან და ლუქსემბურგელებთან. პირველ მატჩში მათ ანგარიშით 9:0 სძლიეს ლუქსემბურგელებს. მხოლოდ ერთხელ, 1947 წელს პორტუგალიელებთან შეხვედრაში ინგლისის ნაკრებმა მიაღწია უფრო მაღალ შედეგს (10:0!).

△ **ᲗᲔᲚ-ᲐᲕᲘᲕᲘ** გაიმართა მსოფლიო პირველობის გათამაშებია შერჩევითი მატჩი ფეხბურთში ისრაელისა და კვიპროსის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. დიდი ანგარიშით (6:1) გაიმარჯვეს მასპინძლებმა. ამრიგად, ისრაელის ფეხბურთელებმა კვიპროსის გუნდთან ორ შეხვედრაში 3 ქულა შეაგროვეს და ჩემპიონატის მომდევნო ეტაპში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. მორიგ მატჩებში ისრაელის გუნდის მოწინააღმდეგე იქნებიან ეთიოპიის ფეხბურთელები.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲔᲑᲘ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 29 ნოემბერი. (საკდესი). ერთი თვეა ჩინეთში უცვლელი წარმატებით სარგებლობს საბჭოთა მსახიობების სატესტრადო-საცირკო ჯგუფი. მოსკოვის, კიევის, ვილნიუსის, სვერდლოვსკისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების მომღერლებმა, მუსიკოსებმა, მოცეკვავეებმა, ცირკის ოსტატებმა ამ ხნის მანძილზე პეკინში, შიძიჯუანში, უხანში, ჩანშასა და გუანჭოუში გამართეს 29 კონცერტი, რომელსაც დაესწრო თითქმის 55 ათასი კაცი.

სამრეთ ჩინეთის უდიდეს სამრეწველო ცენტრში გუანჭოუში საბჭოთა მსახიობები გამოვიდნენ ქალაქის ყველაზე დიდ მაყურებელთა დარბაზში. მაგრამ ამ დარბაზმაც, რომელიც განკუთვნილია 5 ათასი მაყურებლისათვის, ვერ დაიტია ყველა მსურველი. კონცერტების ყველა ბილეთი გაიყიდა პირველსავე დღეს.

დღეს საბჭოთა მსახიობებმა დაამთავრეს კონცერტები გუანჭოუში და უანხაის გაემგზავრნენ.

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲠᲘᲒᲐᲨᲘ

6. ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ 3. ᲒᲝᲠᲘᲡᲔᲜᲙᲝ — ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ

ᲑᲣᲨᲘᲜ რიგაში მოეწყო სსრ კავშირის ქალთა საჯადრაკო ჩემპიონატის უკანასკნელ ტურებში გადადებული პარტიების დამთავრება, აგრეთვე გათამაშდა გამოტოვებული პარტიები.

12 გადადებული პარტიიდან დამთავრდა მხოლოდ 7, დანარჩენები კვლავ გადადო. ამ დღეს ო. იგნატიევამ მოუგო ა. ვიტკოვსკაიას, ვ. ტიხომიროვამ — კ. ზვორიკინას, ვ. კოზლოვსკაიამ — ტ. კრიუკოვას, ვ. კაუშილაიტემ — ვ. ტიხომიროვას, ო. რუბცოვამ — ს. როზოკრეს. ვ. კაუშილაიტე-ლ. ვოლპერტისა და მ. ტოგონიძე-ტ. ზატულოვსკაიას პარტიები ყაიმით დამთავრდა.

გათამაშდა ორი გამოტოვებული პარტია. ქართველმა ოსტატმა ნ. გაფრინდაშვილმა შავებით ძლიერად ჩაატარა პარტია ტ. ფილანოვსკაიასთან და გათამაშების ცხრილში მორიგი ქულა ჩაიწერა. ა. კუშნირ-ა. ჩაიკოვსკაიას პარტია ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, 10 ტურის შემდეგ ლიდერები არიან ნ. გაფრინდაშვილი და ვ. ბორისენკო, რომლებსაც შვიდ-შვიდი ქულა აქვთ. ტ. ზატულოვსკაიას 6.5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

1 დეკემბრიდან დასავლეთ საქართველოში და აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში მოსალოდნელია ამინდის გაუარესება, მნიშვნელოვანი წვიმა და ზოგ ადგილებში თოვლიც, სანაპირო რაიონებში დროგამოშვებით დასავლეთის ხანმოკლე ქარი, მტკვრის ხეობაში დასავლეთის ძლიერი ქარი; ტემპერატურა ყველგან დაიწევს 5-8 გრადუსით.

რედაქტორი

დ. მᲔᲔᲓᲚᲘᲣᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲘᲜᲝ

1 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ: Ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — 1. ლეგენდა თბილისზე, 2. სოფლის პატიოსნება (მე-2 აბონ. მე-2 წარმ.), რუსთაველის სახელობის — ამბავი სიყვარულისა, მარჯანიშვილის სახელობის — მე, ბებია, ილარიონი. გრიბოედოვის სახელობის — დამოკლეს მახვილი.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ: 19.00 — კინონარკვევი, 19.30 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 20.00 — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის „იავნანა“ № 6, 21.00 — ახალი ამბები, 21.10 — ფილმი სპექტაკლი — „ძმები ერშოვები“ — მე-2 ნაწილი (მოსკოვის ცენტრალური სტუდიის გამოშვება).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80. სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, საილუსტრაციო — 3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.

УЭ 07919 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.